



ციხესიმაგრე

№ 128 / 18 - 24 მარტი / 2013

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



# ჯაშის სასუნი სწორების 24 სასტი

**გვ. 18**

- განათლების სარისხი თუ პოლიტიკა? **გვ. 34**
- ინტერვიუ: დევნილი მოსამართლე **გვ. 12**
- რეალობაზე: ონარჩა – იმედების სასაფლაო **გვ. 42**
- კომენტარი: ევროპის კართან **გვ. 08**
- უძრავი ჩაზრდის უძრავი პროცესები **გვ. 28**
- „საზოგადოებრივი მოუცეობლობა“ **გვ. 55**
- ფოტორეალობაზე: კარწახი **გვ. 46**





ყველაზე საინტერესო  
პროფესიონალუ ყველაზე  
ანიმაციურობის  
ექსპერტი  
პასუხისმგებელი



**PROFY**  
ყმა 15:30



№ 128 / 18 – 24 მარტი / 2013

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღგასრულებელი რედაქტორი  
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები  
ლიკა ზაფრანიძე  
ირაკლი აბანძე

შურალისათვაზი:

ზურაბ ვარდაშვილი, თათა ხალანი,  
ანი ჭავჭავაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი  
გოგუა, გორგა ჭეშმარია, სოფო  
აფალაური, ეკა მაღალაძე, ლაშა  
ქავთარაძე, ქეთევან ლევადაშვილი

კონტრიბუტორი:

მალხაზ ჭყადაუა, თემო ბარძიძეშვილი,  
გაბა მაისაშვილი, ბექან სვანიძე, გასა  
კაჭახეძე, ქეთი სადლობელაშვილი

რედაქტორი:

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანძე  
რედაქტორ-სტილისტი  
ნინო ბექიშვილი  
კორექტორი  
ნათა არმოცაძე

გამოცემაში:

დირექტორი  
ქეოვან ბაზუნშვილი  
გაყიდვებისა და გინზეასის  
განვითარების მინისტრი  
რედაქტორის დამსახური  
ქეოვან ქავთარაძე  
მარკეტინგის მინისტრი:

ქეოვან ქავთარაძე  
მარკეტინგის მინისტრი:

ნარის ბექიშვილი  
მიხეილ მამურიშვილი

უურნალის გამოწერის მსურველები  
დაგვიკავშირით: 247 10 05.



მაშინ, როცა მთელი ყურადღება აგრარული უნივერსიტეტისკენ გვქონდა მიპყრობილი და ჩვენი ჩინოვნიების უხეირობასა და უნიათობაზე გბრაზობით, კათოლიკურმა სამყარომ ახალი პაპი, ფრანცისკე აირჩია. ბაბისი მქონდა ჩართული და პირდაპირ ეთერში ვუურებდი, როგორ ამოვიდა თეთრი კვამლი საკვამურიდან, როგორ გაიხარა მოედაზე შეკრებილმა ათი ათასობით მოწნმუნებ და უცეპ როგორ აინთო მოედანი მობილურების და ტაბლეტების ეკრანებით. ყველას უნდოდა, თეთრი კვამლი გადაელო. ზუსტად ასე აპრჭყვილდა მოედანი მშინაც, როცა ახლადარჩეული ეკლესის მეთაური ფანჯრიდან გამოჩნდა – და უცეპ ვიფირე, რომ სამყარო ძალიან სწრაფად იცვლება – ნინა პაპის არჩევისას, 2005 წელს, მოედანი ასე არ ანთებდა.

ამასწინაათ ვკითხულობდი, რომ პრიტანელებმა თინერჯერებისთვის ორი აპლიკაცია შექმნეს – შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და ჰომერის „ოდისეა“. ჩატირთავ აპლიკაციას აიპადზე, კითხულობ ტექსტს, და თუ რა მომენტის შეკითხვა გაგრინდა – მაგალითად, რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა, როგორ გამოიყურებოდა ვერონა იმ დროს, ან რისი დმიტრი იყო თვალებრიალა ათინა და სხვას რა გვიყვება ბერძნული მითები ტროას ომზე, – ჭევინი პროგრამა ცველაფერს გეუბნება. ასე ბავშვებს ნიგნების კითხვა გაუადგილდებათ და კადეც ბეკრ წიგნს გამოვცემთ – ამბობენ ბრიტანელები.

უცეპ წარმოვიდგინებ, რა კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ გვეფიქრა ბავშვებისთვის ლიტერატურის ასე მიწოდებაზე. აპლიკაციის შექმნელები ხომ აქაც მოიძებნებიან, ფილოლოგებიც გვყავს, რომელიცაც ტექსტების მომზადება შეუძლიათ. მაგრამ ჯერჯერობით ალბათ ამისთვის არ გვცალია – ჯერ სხვა ბერძნი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი – მაგალითად ის, რაზედაც „ლიბერალის“ ამ ნომერში წაიკითხავთ – უკიდურეს, წარმოუდგენლი სილატაკე ზუგდიდთან უკანასკნელ ცონლულში გაჩერინდ დევნილთა დასახლებში, სადაც ადამიანებს ბანაობის საშუალებაც არა აქვთ, და წყალს რომ სუმენ, – ინამლებიან.

იმედისმომცემი ის ამბავია, რაც გიორგი ჭეიშვილმა სენაკის სამხედრო ბაზიდან ჩამოტანა. ესაა ადგილი, რომელიც 2008 წლის ომის დროს რუსული არმიის სამიზნე გახდა და რეზერვისტები – სულ პირტიტველა ბიჭები დაიხოცენენ. გიორგიმ ბაზაზე სამხედროთა ცხოვრების 24 საათი აღნერა. მძიმე და ერთფეროვანი რუტინა, სამხედროების არაფრით გამორჩეული ყოველ-დღიურობა, მაგრამ უცხო თვალისთვის მაინც ძალიან მოულოდნელი და საინტერესო.

დანარჩენი ის თემებია, რაც ამ დღეებში აქტიულური იყო – აგრარულის ამბავი, რომელ-მაც სხვებთან ერთად მეც ძალიან გამაპრაზა, საზოგადობრივი მაუწყებლის მოუწყობლობა, ნინასაარჩევნობ დაძაბული ვითარება მეზობელ აზერბაიჯანში და ჩვენი პოლიტიკური ელიტის მიერ ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ეპოსტოლარული უანრი, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გასცდა და ევროპარლამეტამდეც მიაღწია.

ჲო, ევროპარლამეტარებს ჯერჯერობით ირო ქართველი ლიდერისთვის არ უპასუხიათ. რატომდაც მგონია, ეს მიმოწერა არც გაგრძელდება.

ნინო ბექიშვილი,  
აღმასრულებელი რედაქტორი



## ხასიათის სეოზების 24 საუთი

სენაკის სამხედრო ბაზა ქალაქის რეინიგზის სადგურიდან ავტომობილით რამ-დენიმე წელის სავალზე მდებარეობს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის დროს, რუსმა სამხედრო ბიუროში გაძარცვეს, ბუნკერები და ბომბებს, საფრენი ზოლი მწყობრიდან გამოიყანეს, საპროლო ტექნიკა კი მოიპარეს. აგვისტოს ომს მეორე ქვეითი ბრიგადის 33 სამხედრო ემსხვერპლა და მოიპარეს. აგვისტოს ომს მეორე ქვეითი ბრიგადის 33 სამხედრო ემსხვერპლა და დღისათვის სენაკის სამხედრო ბაზა სრულფასოვნად ფუნქციონირებს.

ბაზის თავზე ქართული დროშა ფრიალებს. აქ მეორე ქვეითი ბრიგადაა განლაგებული. საგუშავოზე მობილურ ტელეფონებს ვტოვებთ, სამოქალაქო პირებს სამხედრო ბიური მათი შეტანა ეკრანალებათ.

გორგი ჭეიშვილი  
გვ.18

## ლევიცი მოსამახთი

არსებობს სიმართლის გზა, ყველა მოქმედმა მოსამართლემ, ამ ხნის განმავლობაში ვისაც რა განუცდია, უნდა ღიად განაცხადოს, რა და როგორ, რა მექანიზმებით ხდებოდა მათზე ზეწოლა, ეს მათ ტვირთად აწვეთ, მოსამართლებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. კარგად იციან, რა განაჩენებზე აწერდნენ ხელს, მაგრამ ისიც იციან, რატომ აკეთებდნენ ამას. მათ უნდა ეყოთ სამოქალაქო გამბედობა და ამ თემებზე ღიად ისაუბრონ. მე მათ მოვუწოდებ, რომ გამოვიდნენ და ილაპარაკონ.

ზურაბ ვარდიაშვილი  
გვ.12

## განათლების ხასიათის თუ პოლიტიკა?

11 მარტს განათლების ხარისხის მართვის ცენტრის ავტორიზაციის საბჭომ აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია გაუუქმა. გადაწყვეტილების მიზეზი ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა გახდა. დარღვევებს უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ავტორიზაციის საბჭოს წევრები განსხვავებულად აფასებენ. ავტორიზაციის საბჭოს ხელმძღვანელის აზრით, უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი დარღვევები აქვს. აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ აღმოჩენილი დარღვევები ტექნიკური ხასიათისა და ისნი ავტორიზაციის გაუქმებას საფუძვლად არ უნდა დასდებოდა.

განათლების მინისტრმა, გორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ხარვეზები, რომელსაც სტუდენტები ტექნიკურს უწოდებენ, ტექნიკური არ არის და საბჭო, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიყანა, ნინა ხელისუფლების დროსაა ფორმირებული. თუმცა, რადგან ჯერ-ჯერობით საბჭოს გადაწყვეტილება არ გამოუქვეყნებია, კითხვები – რამდენად არსებითი იყო დასკვნში წარმოდგენილი ხარვეზები, უნდა შეეჩერებინა თუ არა საბჭოს უნივერსიტეტისთვის ავტორიზაცია და ხომ არ არის აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებული – ლიად რჩება.



ლიად ზაქაშვილი  
გვ.34

## უძრავი ბაზების უძრავი პრობლემები

უძრავი ქონების ბაზრის სტაგნაცია 2007 წლის სექტემბრიდან დაიწყო. სამშენებლო კომპანიების არასწორი მენეჯმენტით გამოწვეული პრობლემები რუსეთის სამხედრო აგრესის და გლობალურმა საფინანსო კრიზისმა კიდევ უფრო გააღრმავა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დეველოპერებს გაყიდვები მკვეთრად შეუმცირდათ. დაუმთავრებელი და შეჩერებული მშენებლობები თბილისის იერსახის განუყოფელ ნაწილად იქცა. 15 000-მდე ოჯახი გაჭიანურებული მშენებლობის დასრულებას დღემდე ამაიდ ელოდება, სამშენებლო კომპანიის ოთხმა ხელმძღვანელმა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მანანა ვარდიაშვილი  
83.28

ფოტოების კოლექტური

## კარწახი



თამო ბარძიმაშვილი  
83.46-51

### გამოცემები:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

### სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

უზრუნველყოფი გამოცემებული მსალების ნაილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### გავდვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთალის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

### ნოარეა:



- 04 მოკლედ  
ორი აზრი
- 06 უნდა შეიცვალოს თუ არა  
საზოგადოებრივი მაუწყებლის  
საბჭო ვადაზე ადრე?  
**კომენტარი**
- 08 ევროპის კართან
- 10 მსოფლიოში არსებული  
ემოციური ზონები და მათ შორის  
დაპირისპირება  
**ინტერვიუ**
- 12 დეენილი მოსამართლე  
**რეპორტაჟი**
- 18 ჯარისკაცის ცხოვრების 24 საათი  
**ეკონომიკა**
- 28 უძრავი ბაზრის უძრავი  
პრობლემები  
**განათლება**
- 34 განათლების სარისხი თუ  
პოლიტიკა?  
**მეზობლები**
- 38 მზარდი საპროტესტო ტალღა  
აზერბაიჯანში  
**საზოგადოება**
- 42 ონარია – იმედების სასაფლაო  
**ფოტორეპორტაჟი**
- 46 კარწახი  
**ლიბერალის ვებგვერდიდან**
- 52 ჩემი მეურვეები
- 55 „საზოგადოებრივი მოუწყობლობა“  
**ციტატები**
- 56

## ხათოლისა ვალისა ახალი პატი ჰყავს



13 მარტს ვატიკანში კონკლავზე შეკრებილმა კარდინალებმა რომის კათოლიკურ ეკლესიის ახალი პაპი არგენტინელი კარდინალი, ბუენოს აირესის არქიეპისკოპოსი, 76 წლის ხორხე მარიო ბერგოლიო აირჩიეს. წმინდა პეტრეს ტაძრიდან ფრანგ-მა კარდინალმა უან ლუი ტორანმა მოედანზე შეკრებილ ხალხს მიმართა და მათ რომის ახალი პაპის ვინაობა ტრადიციული სიტყვებით აუწყა – „Annuntio vobis gaudium magnum; Habemus Papam“ (გაცნობებთ უდიდეს სასიხარულო ამბავს, ჩვენ გვყავს პაპი).

არჩეული არგენტინელი კარდინალის სურვილით, მას ფრანცისკე ეწოდა. ის 266-ე პაპია ეკლესიის ორიათასწლიან ისტორიაში, ამასთან, პირველი სამხრეთმერიკელი და პირველი იეზუიტი, რომელიც რომის კათოლიკურ ეკლესიას უხელმძღვანელებს. ის არგენტინის ეკლესიის მოდერნიზაციაში შეტანილი წვლილითაა ცნობილი.

ახალი პაპის არჩევა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს ბენედიქტე XVI გადადგა. კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში ასეთი რამ თითქმის 600 წელა, არ მომხდარა.

**ჩახათის პატი იღება  
უფასოთის ციერის შეხვედრა  
რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ  
პუტინი 12 მარტს აფხაზეთის ლი-**

დერს ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა. კრემლის ინფორმაციით, მხარეებმა „რუსეთსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობის განვითარების“ გეგმა განიხილეს.

ანქვაბმა აფხაზეთის მხარდაჭერისთვის პუტინს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ სოხუმი რუსეთის მიერ მისი აღიარების ხუთი წლისთავის აღნიშვნისთვის ემზადება. 2008 წელს საქართველოსთან ომის შემდეგ, მოსკოვმა 2008 წლის 26 აგვისტოს სეპარატისტული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარა.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კონსულტაციების დროს ჩვენ შევძლებთ გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ და შევხელოთ იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტასაც უახლოეს მომავალში ერთობლივად შევძლებთ“, – განაცხადა პუტინმა.

მანამდე, ანქვაბის და პუტინის დაგეგმილ შეხვედრაზე კომენტარი



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა. მისი თქმით, საქართველო მისი ტერიტორიული მთლიანობის დაშლას არასდროს შეეგუება და ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იქნება მიმართული, სერიოზულ შეფინოვებას და კრიტიკას გამოიწვევს.

### პატი მინისტრი წერილში ტელეიმედის ჩახათის უფასოთის ლი ცახიცით მიმართა


პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ევროპის სახალხო პარტიას ლია წერილით მიმართა. წერილში პრემიერ-მინისტრი პუნქტოვად

გამოყოფს პრობლემებს, რომლებიც ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს წარმოიშვა და პარტიის წევრებს ყურადღების მათზე გამახვილებას სთხოვს. ის პარტიას ობიექტურობისა და დასკვნების გაკეთებამდე საქართველოს რეალობის უკეთ შესწავლისაკენ მოუწოდებს და ხაზს უსვამს, რომ რამდენად პატივ-საცემ და გავლენიან ძალასაც წარმოადგენს სახალხო პარტია, იმდენადვე პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოებას ცდილობენ.

პრემიერი პირველ რიგში, საკონსტიტუციო ცვლილებების მეშვეობით პრეზიდენტის ძალაუფლების უპრეცენდენტო გაფართოებასა და სელისუფლების შტოთა ბალანსის მოშლაზე საუბრობს. მიმართვაში განხილულია ასევე მართლმაჯულებაში შექმნილი მდგომარეობაც. ივანიშვილი ევროპელ პოლიტიკოსებს სტატისტიკას აცნობს, რომლის მიხედვითაც გამამტყუნებელი განაჩენები 99%-ს აჭარბებდა, აღიარებითი ჩვენებების და საპროცესო გარიგებების რიცხვი კი 90%-ს უახლოვდებოდა. ბოლო 8 წლის განმავლობაში კი ქვეყანას 200 ათასზე მეტი პრობაციონერი ჰყავდა.

პრემიერ-მინისტრი წერილში ტელეიმედის ჩახათმევეისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის გადაცემასაც იხსენებს და ამბობს, რომ მედიის თავისუფლების პრობლემა ქვეყანაში სწორედ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში იყო. იანვარში გამოქვეყნებული ეკროპის საბჭოს ასამბლეის დასკვნა კი, სადაც საქართველოში არჩევნების შემდეგ მედიის თავისუფლების შემაშფოთებელ ტენდენციებზე მიუთითებდა, არარსებულ ფაქტებს ემყარება.

„მეტად უცნაურია, რატომ აყონებდა წლების განმავლობაში კრიტიკა, როდესაც საქართველოში სამი ძირითადი მაუწყებლი საზოგადოებრივი ტელეებიზის ჩათვლით, ნაციონალობის პროპაგანდის ნაწილად იყო ქცეული.



იმედს გამოვთქვამთ, თქვენს ყურადღებას ამჯერად მაინც მიიპყრობს 2004-2007 წლებში ქართულ მედიაბაზარზე განვითარებული მოვლენები და შეფასებები არ დააყოვნებს,“ - წერია მიმართვაში.

ივანიშვილი ხახს უსვამს, რომ ახალმა მთავრობამ უკვე ბევრი რამის უკეთესობისაკენ შეცვლა შეძლო. „ვინაიდან კითხვები გიჩნდებათ მიმდინარე მოვლენების მიმართ, თქვენც მოგიწოდებთ, სანამ „ევროპის კარის დაბურვის“ შორსმიმავალ დასკვნებს გააკეთებთ, გამოგზავნოთ ხანგრძლივი დამკაირცხებლები და თავად დარწმუნდეთ, რომ საქართველოს ხელისუფლების ურყევი პოლიტიკური ნებაა დემოკრატიული მმართველობა. ჩვენი მისია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უპირობო, განუხრელი და ცალსახა ერთგულება. ხოლო ქართველი ხალხის მოთხოვნა და სურვილია ნამდვილი, ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებებით ცხოვრება და განწირულია ყველა ხელისუფლება, ვინც ამ გზიდან გადახვევას მოინდომებს. ეს ქართულმა საზოგადოებამ უკვე მრავალჯერ დაამტკიცა, “ - ასე ასრულებს სახალხო პარტიისადმი საკუთარ მიმართვას ბიძინა ივანიშვილი.

### ვენეციის პომისის ღასტანი

ვენეციის კომისიამ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა. კომისიამ დოკუმენტში შესწორებები 9 მარტს ვენეციაში, 94-ე პლენარულ სესიაზე შეიტანა.

ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კანონის მთავარი გაუმჯობესება გამოიხატება შემდეგ პუნქტებში:

1. პრეზიდნტი ველარ დაინიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რვა წევრს აირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია თავად მოსამართლებისგან.
3. საბჭოს 6 წევრს აირჩევს პარლამენტი, მაგრამ ისინ არ იქნებიან პოლიტიკოსები, როგორც ეს ამჟმად არს. აღნიშნული კანდიდატები უნდა იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორები, ასევე, იმ არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სამართლის განხილვით მუშაობენ.
4. ცვლილებების შემდეგ დაინერგება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ფარული კენჭისყრით არჩევის წესი.

დადებითი შეფასების გარდა ვენეციის

კომისია ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევს, რომ სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს და ყველა იმ პირს, რომელსაც აღნიშნული პოზიციები ეკავათ საბჭოს არჩევნებამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში, უნდა ჰქონდეთ საბჭოს წევრობის შესაძლებლობა. ვენეციის კომისის დასკვნით, შესაძლოა, კანონმა დააწესოს შეზღუდვები, თუ რამდენი თავმჯდომარე შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

ვენეციის კომისიის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა, რომ ხელისუფლებამ კანონპროექტიდან ამოიღოს ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, კანონის მიღების შემთხვევაში უფლებამოსილება შეუწყდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრს, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა. **■**



## დიახ

ია ანთაძე  
უკრანლისტი

ტელევიზიის ფუნქციონირების მთავარი პრინციპი ის იყო, რომ ის ყოველთვის ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი იყო. მაუწყებელში არსებული ყველა პრობლემის საფუძველი ისაა, რომ ეს ტელევიზია პოლიტიზებულია და დაარსების დღიდან ასე იყო. რაც უნდა ბევრი ვისაუბროთ იმაზე, რომ ეს თითქოს დაბალანსებული არხია და ეს სხვადასხვა მედიამონიტორინგის შედეგებმა დაადასტურა, ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება ამაზე დავა. საბოლოოდ, მაინც იქამდე მივალთ, რომ ტელევიზია არასდროს ყოფილა პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი.

ბოლო დროს განვითარებულმა პროცესებმა კი აჩვენა, რომ ის პროცესები, რომლებიც გარედან სხვაგვარად ჩანდა – გენერალური დირექტორების ცვლილება, საბჭოს წევრების როტაცია და ა.შ. – სინამდვილეში არც ისე უმტკივნეულო ყოფილა. ახლა კი გამოყონა დაპირისპირებამ, უკმაყოფილებამ, კრიზისმა. შეუძლებელი იყო ეს კრიზისი არ შექმნილიყო. ტელევიზიას საკმაოდ დიდი ვალი პქნდა დაგროვებული, ფაქტობრივად არ ასრულებდა პროგრამულ პრიორიტეტებსაც.

სამეურვეო საბჭოს მოვალეობა კი სწორედ ის იყო, რომ ეკონტროლებინა როგორც ბიუჯეტის, ისე პროგრამული პრიორიტეტები. საბჭოს მოქმედი წევრები კი არ იღებდნენ პასუხისმგებლობას არც ვალებზე და არც პრიორიტეტების შეუსრულებლობაზე.

ერთადერთი გამოსავალი არხის დეპოლიტიზებაა, ეს კი საბჭოს დეპოლიტიზებით უნდა დაიწყოს. სამეურვეო საბჭო სულ სხვა პრინციპით უნდა დაკომპლექტდეს. მედიაკონალიციის კანონპროექტი სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ წევრების შერჩევის პროცესში გაიფილ-ტრონ პოლიტიკურად მოტივირებული პირები. და საბჭოში მოხვდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მოემსახურებიან ხალხს და იზრუნებენ იმაზე, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს პქნდეს საზოგადოების რეალური ნდობა.

ამ ცვლილების მიღების გარეშე კვლავ ჩვეულებრივი როტაცია მოხდება და ამჯერად ახალი უმრავლესობა დააკომპლექტებს დაბჭოს მისათვის სასურველი ადამიანებით, რეალურად საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთი პოლიტიკური ძალიდან მეორის ხელში გადავა. **■**



## უნდა შეისვალოს თუ მარცვაბის საბჭო

**■** ერთადერთი გამოსავალი არხის დეპოლიტიზებაა, ეს კი საბჭოს დეპოლიტიზებით უნდა დაიწყოს. სამეურვეო საბჭო სულ სხვა პრინციპით უნდა დაკომპლექტდეს. მედიაკონალიციის კანონპროექტი სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ წევრების შერჩევის პროცესში გაიფილ-ტრონ პოლიტიკურად მოტივირებული პირები. მედიაკონალიციის კანონპროექტი სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ წევრების შერჩევის პროცესში გაიფილ-ტრონ პოლიტიკურად მოტივირებული პირები.



## ასე საზოგადოებრივ ო ვალენტინები?

■ **საბჭომ პოლიტიკური ჩარევისაგან თავდაცვა**

**მოახერხა.** ხელისუფლების მხრიდან აშკარა ჩარევა იყო, როდესაც დირექტორზე ზენოლა მოახდინა, ხოლო დირექტორმა შემდეგ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გაათავისუფლა. ამ შემთხვევაში საბჭომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

### 1რა

**სერგო რაჭიანი**  
„ნაციონალური მოძრაობა“

დღეს ახალი ხელისუფლებას საზოგადოებრივ მაუწყებელს უერ აკონტროლებს. საზოგადოებრივი მუწყებელი ხელისუფლების ჭარბი და გადამეტებული ძალაუფლების შემაკავებელი უნდა იყოს და არის კიდეც. დემოკრატიულ სამყაროში უნდა არსებობდეს ის ინსტიტუტები, რომელიც ხელისუფლების ჭარბი ძალაუფლების შემაჩერებელი იქნება, პირველი უნდა იყოს ოპოზიცია, მეორე – მედია, მესამე – სასამართლო და სხვა ინსტიტუტები.

ჩვენ მოგვწონს თუ არა, ასეა. ამიტომ ამ უნიკალური სიტუაციის გარდატეხა არასწორი იქნებოდა. დასავლური ინსტიტუტიდან სწორედ ამას გვეუბნებიან. იმას კი არ გვწერენ, ვინაა კარგი ან ცუდი, არამედ იმას, რომ არის ინსტიტუტები, რომელთაც არ უნდა შევეხოთ. ეს დემოკრატიის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საბჭომ პოლიტიკური ჩარევისგან თავდაცვა მოახერხა. ხელისუფლების მხრიდან აშკარა ჩარევა იყო, როდესაც დირექტორზე ზენოლა მოახდინა, ხოლო დირექტორმა შემდეგ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გაათავისუფლა. ამ შემთხვევაში საბჭომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

მათ, ვინც დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს მიმართ პრეტენზიას გამოთქვამს, დაავიწყდათ რომ ქვეყანაში 1 ოქტომბერი იყო. ნაციონალურ მოძრაობას 1 ოქტომბერს რომ გაემარჯვა და რომ არ მიეღოთ ის გაკვეთილი, რაც მიიღოს, ნაციონალური მოძრაობა მხარს დაუჭრდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონპროექტს და საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ დარჩებოდა.

ევროსაბჭოში, როდესაც მედიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის საკითხს განიხილავდნენ და ამ მიმართულებით შენიშვნა მოგვცეს, რეზოლუციას „ქართულმა ოცნებამ“ და რუსეთმა არ დაუჭირა მხარი. მედიის დაქვემდებრების საკითხში პარტნიორად რუსეთი ჰყავთ.

ჩვენი ოპონენტები ლაპარაკობენ სიტუაციაზე, რომელიც 1 ოქტომბრამდე იყო შექმნილი და ეს გასათვალისწინებელია, ესაა უნიკალური შემთხვევა და არაა ვინმეს დამსახურება. უნდა გავაცნობიეროთ, რა ისტორიულ მომენტში ვართ და რა მოხდა დადებითი 1 ოქტომბერს. ეს როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის დამსახურებაცაა. **■**

## ევროპის ბაზან

ხელისუფლებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, უფრო მეტი და უკეთესი კომუნიკაცია სჭირდება ევროპარლამენტთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებთან.

### ბეჟან სვანიძე

ევროკავშირის კანონშემოქმედებით საქმიანობაში სამი ძირითადი ინსტიტუტი მონაწილეობს: ევროკავშირის საბჭო, ევროკომისია და ევროპის პარლამენტი. ევროკავშირის შიგნით ათწლეულებია გრძელდება დისკუსია ამ ინსტიტუტებში დემოკრატიულობისა და წარმომადგენლობითის დეფიციტის შესახებ, თუმცა ერთ რამეზე ყველა თანხმდება – დემოკრატიულობის და წარმომადგენლობის დეფიციტი ყველაზე წაკლებად სწორედ ევროპის პარლამენტს. 1979 წლიდან მოყოლებული მთელ ევროკავშირში საერთო საყოველთაო არჩევნები ტარდება, სადაც ევროკავშირის მოქალაქეები პირდაპირი წესით, ხუთი წლის ვადით ირჩევენ ევროპარლამენტში თავისთ წარმომადგენლებს. განსხვავებით ევროპარლამენტისაგან ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიის წევრებს ევროკავშირის მოსახლეობა პირდაპირი წესით არ ირჩევს.

კანონშემოქმედებით საქმიანობაში ევროპარლამენტის როლი 2009 წლის 1 დეკემბრის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამ დღიდან შევიდა ძალაში ღია ბორნის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპარლამენტის გარდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების ჩართვაც განაპირობა. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის გასაფორმებელი ასოცირების ხელშეკრულება სრულად მანამდე არ შევა ძალიში, სანამ მის რატიფიცირებას ევროპარლამენტი და ევროკავშირის 28 ქვეყნის

(2013 წლის 1 ივლისიდან ევროკავშირის 27 ქვეყნას ხორვატიაც დაემატება) საკანონმდებლო ორგანო არ მოახდენს.

გასულ კვირას საქართველოში აგრარულ უნივერსიტეთან ერთად ევროპარლამენტი ალბათ ყველაზე ხშირად ნახსენები სიტყვა იყო. 2013 წლის 6 მარტიდან 14 მარტამდე ევროპარლამენტისა და საქართველოს მთავრობას შორის ღია მიწერ-მოწერა მიმდინარეობდა. ევროპარლამენტიდან მოსულ წერილს 23 ევროპარლამენტარი ანერდა ხელს. აქედან 19 ევროპის სახალხო პარტიის წევრია, რომელიც ყველაზე დიდი პოლიტიკური ჯგუფია ევროპარლამენტში (ევროპარლამენტში ში სულ 754 ევროპარლამენტარია, მათგან 271 კი სწორედ ამ ჯგუფშია გაერთიანებული), 2 ევროპარლამენტარი კონსერვატორებისა და რეფორმისტების ჯგუფს წარმოადგენს (სიდიდით მეხუთე პოლიტიკური ჯგუფი ევროპის პარლამენტში, სადაც 52 ევროპარლამენტარია გაერთიანებული), 1 სოციალ-დემოკრატიული ჯგუფიდანაა (სიდიდით მეორე პოლიტიკური ჯგუფი ევროპარლამენტში 189 წევრით) და 1 მწვანეები/თავისუფალი ევროპული ალიანსის წარმომდგენლი (სიდიდით მეოთხე პოლიტიკური ჯგუფი სადაც 59 ევროპარლამენტარია გაერთიანებული). ხელმოწერებიდან 7 პოლონეთს წარმოადგენდა, 5 ლიტვას, 3 გერმანიას, ორ-ორი შვედეთიდან, ესპანეთიდანაა და ესტონეთიდანაა, თითო-თითო კი – სლოვაკეთსა და უნგრეთიდან. გასათვალისწინებელია



ევროპარლამენტი

ხელმომწერთა სახელები, ნარსული და გავლენა თავიანთ ქვეყნებში (მაგ: სლოვაკი ედუარდ კუკანი 1998 – 2006 წლებში სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ვიტაუტას ლანცბერგისი ლიტვის სახელმწიფოს მეთაური და სეიმის სპიკერი), იერჟი ბუზეკი (ევროპარლამენტის ყოფილი სპიკერი), ელმარ ბროკი ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეა.

მიღებული წერილი შორს იყო დიპლომატიური სტანდარტებისგან (მიმართვის ფორმასა და ლექსიკა-გრამატიკაზე რომ არაფერი ითქვას). პირველი რეაქცია ცოტა არ იყოს ზერელედ მოჩანდა – არაფერია თუ 754 ევროპარლამენტიდან 23 ასე ფიქრობს.

დიპლომატიური პასუხი არც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გაუცია. საზოგადოებამ მოგვიანებით შეიტყო, რომ უსუფაშვილისთვის უზრუნველო სტილში დაწერილ წერილში აქცენტები თურმე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დასვა. არადა, ისე გამოჩნდა, თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ ამ წერილით ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან და ფრონტი გახსნა. ეგ კი არა, უფრო შორსაც წავიდა და ბრალი იმში დასდო, რომ მიუხედავად ევროპაში ცხოვრებისა, მათ ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულება არ გააჩნდათ და ევროპელი ხალხის წებას არ გამოხატავდნენ.

სერიოზული ბრალდებაა, თანაც, ისიც გასათვალისწინებულია, რომ ლიტვა ევროპარლამენტში 12 პარლამენტით არის წარმოდგენილი, მათგან თითქმის ნახევარმა (ხუთმა) წერილს ხელი მოაწერა.

შეორენ წერილი საქართველოს პრემიერ მინისტრისა იყო. პირველი, ცხელ გულზე დაწერილი წერილისგან იგი მასშტაბურობითა და ფაქტების სიმრავლით გამოირჩეოდა. აქ უფრო მეტად ჩანდა იმის მცდელობა, რომ 23 ევროპარლამენტარისთვის ხელისუფლებას სიმართლე დაემტკიცებინა; უფრო მეტად იყო დაბალნებული და ნაკლებად - პროვოკაციული, ჩანდა მეტი პატივისცემა და ნაკლები ბრალდება, მეტი პრაგმატული და ნაკლები - ემოცია.

სასურველი იქნებოდა, სწორედ ასეთი ყოფილიყო პირველი, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დაწერილი და პრემიერ-მინისტრის მიერ აქცენტებდასმული წერილი. საქართველოს ხელისუფლებას უფრო მეტი და

უკეთესი კომუნიკაცია სჭირდება ევროპარლამენტან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებთან, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპისა და ზოგიერთი წევრი ქვეყნის პარლამენტში (სამოქალაქო პლატფორმა“ პოლონეთში, „სამშობლოს კავშირი“ ლიტვაში, „სახალხო პარტია“ ესპანეთში, „Fine Gael“ ირლანდიაში) ევროპის სახალხო პარტიას (რომელშიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობაცაა გაერთიანებული) მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ჰყავს. ასოცირების ხელშეკრულების სრულად ძალში შესვლას კი ევროპარლამენტისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების რატიფიცირება სჭირდება და ამისთვის ევროპის სახალხო პარტიამ უკეთ წარმომადგენინა საკუთარი წინაპირობა: პარტია 2013 წლის ნოემბერში ვილნიუსში გასამართი აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტის ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის წარმატებულად ჩატარების მიზნის ერთგული რჩება. თუმცა, სინაულით აღინიშნავს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც ძალაუფლების პირველი დემოკრატიული გადაცემა მოჰყვა, კანონის უზრუნველყობის, სასამართლოს, მედიის დამოუკიდებლობის და დემოკრატიული სტანდარტების თვალსაზრისით უკან გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს პოზიტიური იმიჯს ზიანი მიაყენა. ამდენად, მოცემულ ვითარებაში, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და რატიფიკაცია ევროპის კავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების მხრიდან

## ■ მეორე წერილი საქართველოს

### პრემიერ მინისტრისა იყო.

**პირველი, ცხელ გულზე დაწერილი წერილისაგან იგი მასშტაბურობითა და ფაქტების სიმრავლით გამოირჩეოდა. აქ უფრო მეტად ჩანდა იმის მცდელობა, რომ 23 ევროპარლამენტარისთვის ხელისუფლებას სიმართლე დაემტკიცებინა; უფრო მეტად იყო დაბალნებად - პროვოკაციული, ჩანდა მეტი პატივისცემა და ნაკლები - ემოცია.**

საფრთხის ქვეშა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროპის პარლამენტში არ არის ბევრი ევროპარლამენტარი, რომელიც საქართველოს საკითხით ინტერესდება. ამდენად, მათთან, ვისაც საქართველოს საკითხი ავად თუ კარგად აინტერესდება და შეიძლება მცდარი ინფორმაცია აქებს, უკეთესია, ხელისუფლებამ ფაქტებით და არგუმენტებით ისაუბროს, და არა - ემოციებით; მით უმეტეს, უხერხელია მათ ბრალი იმაში დასდოს, რომ წამდვილი ევროპისა და ევროპელი ხალხისაგან დისტანცირებული არიან, მაშინ როდესაც ისინი 2009 წელს პირდაპირი წესით სწორედ ევროპელებმა აირჩიეს საკუთარი ინტერესების დასაცავად. **¶**

# მსოფლიო ახსეჩენი ვითოში ზონაში და მათ შორის ეკისაციანი

გია მაისაშვილი

დღეს არნახული არასტაბილურობისა და სწრაფი ცვლილებების ეპოქაა. ის, რაც აქამდე წარმატებული იყო, დღეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, აუცილებელია მუდმივი განახლება და სტრატეგიის გადაფასება. წარმატება არავისთვის გარანტირებული აღარ არის, ამავე დროს ყველასთვის შესაძლებელია. სწრაფი გლობალიზაცია, ინფორმაციული და ტექნოლოგიური რევოლუცია სამყაროში ახალ რეალობას ქმნის. სამყაროს მომავალი აღარ იქნება განპირობებული მხოლოდ დემოკრატიული დასავლეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით. ჩვენ შესაძლოა მოწმენი გავხდეთ ფაქტისა, რომ ცენტრალიზებული, არადემოკრატიული რეჟიმები, როგორიცაა ჩინეთი, უკეთ იყოს აღჭურვილი ეკონომიკური კრიზისის გადასალახად, ვიდრე დემოკრატიული ქვეყნები, მაგალითად, აშშ.

დღევანდელი გეოპოლიტიკა ხასიათდება არა იმდენად ცივილიზაციების შეჯახებით, არამედ უფრო ემოციების დაპირისპირებით. მაგალითად, შეუძლებელია რუსეთის

ავანტიურის ახსნა აგვისატოს ომის დროს მისი ემოციური მიზანისა და საზრისის ანალიზის გარეშე. უკანასკნელმა აღმოჩენებმა, რომლებიც გაკეთდა ადამიანის გონების შემსწავლელი მეცნიერების, ფსქოლოგიის, ბიჰეივიორიული ეკონომიკის სფეროებში, დაგვარწმუნებს, რომ ადამიანურ ემოციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ემოცია არ არის განცალკევებული რაციონალური გონებისგან. პირიქით, მისი საფუძვლია. ემოცია განაპირობებს ადამიანების განწყობას და ერების ქცევას.

ჩვენ დღეს ვისაუბრებთ სამ ძირათად ემოციაზე: შიში, დამცირება და იმედი. სამივე ემოცია თვითონწენასთან არის დაკავშირებული.

შიშის ემოციას თვითონწენის სიმცირე განაპირობებს. თუ საზოგადოების ცხოვრებაში შიში დომინანტია, მაშინ მას ეშინია დღევანდელი დღს და მომავალი კიდევ უფრო საშიშად წარმოუდგენია. ხმირად შიში საზოგადოების სრულ პარალიზებასაც კი იწვევს.

დამცირება ჩნდება საზოგადოებაში, სადაც თვითონწენა დაკარგულია. ამ ყველაფერს საზოგადოება ვიღაც სხვას აპრალებს, რომელიც წარსულში მას უსამართლოდ მოექცა. ამის გამო საზოგადოება გარისხებული და გაპირობებულია.

იმედი კი თვითონწენის სიჭარბის გამოხატულებაა. იმედი ეფუძნება საზოგადოებაში იმის განცდას, რომ დღევანდელი დღე უკეთესია, ვიდრე გუშინდელი და ხვალინდელი უფრო უკეთესი იქნება.

თუ გადავხედავთ ამ ემოციების გეოგრაფიას, დავინახავთ რომ შიში ძირითადად დომინირებს დასავლეთში. დამცირება – ისლამურ სამყაროში, იმედი კი აზიის უპირატესი ემოციაა. ეს სამი ემოცია გამოხატავს



თვითორწმენის დონეს, რაც უმნიშვნელოვანესა ინდიგო-დისა და საზოგადოების წარმატებისთვის, თვითორწმენა საკუთარი პოტენციის გამოყენებისა და შესაძლებლობების ზრდის საშუალებას იძლევა.

დღეს დასავლეთში შიშის ემოციაა დომინანტი. პირველად, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დასავლეთი ალარ არის გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური კრიმიტის ერთპიროვნული შემქმნელი. ეს კი ამ საზოგადოებაში მომავლის მიმართ შიშს და იდენტურობის კრიზისს იწვევს. დღეს აშეარა აღარაა უპირატესობა – დასავლეთის საზოგადოება თვლიდა, რომ არადასავლელი ერები განვითარების გზაზე წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდნენ, თუ განვითარების დასავლურ მოდელს გადმოიღებდნენ. დღეს კი, როდესაც აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ესოდენ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, დასავლური მოდელის უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მსოფლიოში ლაპარაკია იმაზე, რომ თუ მეოცე საუკუნე იყო ამერიკის საუკუნე და იდეოლოგიების საუკუნე, 21-ე საუკუნე აზისა და პრაგმატიზმის საუკუნე იქნება.

დამცირების ემოცია დღეს ისლამურ სამყაროში დომინირებს, თუმცა დამცირება, ისევე როგორც დაარჩენი როი ემოცია გარკვეული დოზით ყველა საზოგადოებაში არსებობს.

ისლამურ საზოგადოებას მიაჩნია, რომ არაბულ-ისლამური სამყაროს დაკანონება XIX და XX საუკუნეების დასავლური იმპერიალიზმის ქმედებებით იქნა გამოწვეული. დამცირების ემოცია კიდევ უფრო გამძაფრდა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოების ვერშექმნის გამო. ამ ემოციის საპასუხოდ ისლამურ სამყაროში “არაბული გაზაფხული” დაიწყო.

იმდენს ემოციის რეგიონი ძირითადად შორეულ აზიაშია. იქ არის განცდა, რომ იმყოფებიან განვითარების ზრდად ტრაექტორიაზე და განვითარებულ დასავლეთს სულ მალე აჯერებან.

იმდენს რეგიონის მთავარი წარმომადგენლები არიან ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, თურქეთი, ინდოეზია, მალაიზია, ვიეტნამი, სამხრეთ კორეა, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი, სხვა სამხეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, სამხრეთ აფრიკა, სკანდინავიულები.

იმდენს რეგიონს გარკვეულწილად უკვე რუსეთი და ყაზახეთიც უერთდებიან. საბჭოთა კავშირის დაშლამ, ეკონიმიკურმა კოლაჟშია, ქალაქისა, უკანონობამ, კორუფციამ, ჩეჩენეთის პირველ მოში განცდილმა მარცხმა რუსეთის

საზოგადოებაში დომინანტად დამცირების ემოცია აქცია. რუსეთში ეკონომიკური კატასტროფა და შიში იმპერიის დანგრევით გამოწვეულ შეურაცხყოფაში გადაითარგმნა. დღეს კი მატერიალური კეთილდღეობის გამოსწორების ფონზე იმედის ემოცია მკვიდრდება. რუსეთის ეკონომიკა ბოლო 10 წლის მანძილზე წლიურ 7%-იან ზრდას განიცდის, რუსების უმრავლესობა თვლის და ამაყობს იმით, რომ დედა რუსეთი მსოფლიო პოლიტიკურ არეაზე პოზიციებს იძრუნებს. აგვისტოს ომის შემდეგ, პუტინის

რუსეთის მთავარი მესიჯი დასავლეთისადმი შემდეგია: „რუსეთის დამცირება ვეღარ მოხდება“. რენე დეკარტის ფრთიანი გამონათქვამი „მე ვაზროვნებ, მაშასადამე მე ვარსებობ“ რუსების მიერ შემდეგნაირად არის პერიფრაზირებული: „შენ ჩემი გეშინა, მაშასადამე მე ვარსებობ“.

როდესაც მსოფლიოს ემოციების მიხედვით დაყოფაზე უსაუბრობთ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს სამი მთავარი ემოცია გარკვეული დოზით ყველა ქვეყანაშია, აქ მხოლოდ დომინანტ ემოციაზეა საუბარი. ასევე უნდა ითქვას, რომ შიში, დამცირება და იმედი ბუნებრივი და საჭირო ემოციებია ადამიანისთვის, მაგრამ ადამიანის და საზოგადოების სიჯანსაღე დამოკიდებულია ამ სამი ემოციის ოპტიმალურ თანაფარდობასა და ბალანსზე.

ემოცია არ არის განცალკევებული რაციონალური გონებისგან, ის რაციონალური გონების საფუძველია. ემოცია განაპირობებს ადამიანების განწყობასა და დამოკიდებულებას, ერების ქცევას. არც ერთ სერიოზულ

ლიდერს არ შეუძლია მისი იგნორირება. მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორად ისაა, რომ შეისწავლოს საზოგადოებისა და ხალხის ემოციური მდგრამარეობა, თუკი საზოგადოებაში ემოციები დადებითია, მოახდინოს ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება (მაგალითად სამომზარებლო და სინვესტიციონ ოპტიმიზმი). ასევე ეცადოს სიტუაციის შემობრუნებას, თუკი საზოგადოებაში ნეგატიური ემოციებისა გაბატონებული. ეს უპირველესად სწორი დიაგნოზის დასმას მოითხოვს. იგივე პასუხისმგებლობა აქვთ ოჯახის უფროსებსაც – მნისვნელოვანია ოჯახის წევრების ემოციური განწყობის ცოდნა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმაც ზედმინებით კარგად უნდა იცოდეს ორგანიზაციის ემოციური მდგრამარეობა, რათა მიიღოს ყველა ზომა თანამდებობის, იმედიანობისა და თვითორწმენის განწყობის შესაქმნელად.

# ევნიცი მოსამახთი

ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე,

## თამარ ლალიაშვილთან

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე – თამარ ლალიაშვილი – დილემის წინაშე მაშინ აღმოჩნდა, როდესაც განიხილა საქმე, რომლის მიხედვითაც ერთმა ძმამ მეორე მოკლა. წინა ინსტანციის სასამართლომ დაზარალებულის სტატუსი გარდაცვლილის დედას მიანიჭა. მოკლულის მეუღლემ დაზარალებულის მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენა, რადგან ის მკვლელის დედაც იყო. ქვრივმა სტატუსი თავად ითხოვა. თუმცა, მას მოკლულთან რეგისტრირებული ქორწინება არ აკავშირებდა, რაც კანონის ენაზე იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილის ნათესავიც კი არ იყო. მოსამართლემ გაითვალისწინა გარემოებები: მათ ჰყავდათ შვილები. ბავშვები მამის გვარს ატარებდნენ. ქალი ბავშვებთან ერთად მოკლულის ბინაში ცხოვრობდა, მათ ფაქტიურად ოჯახი ჰქონდათ. ლალიაშვილმა გადაწყვეტილება მიიღო და ქვრივს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა. მის დისციპლინურ დევნას საფუძვლად სწორედ ნორმის ეს ინტერპრეტაცია დაედო. ეს შემთხვევა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის დანიშვნიდან სულ მაღლე მოხდა. ლალიაშვილი გაათავისუფლეს. ყოფილი მოსამართლე მიიჩნევს, ნორმის ინტერპრეტაცია საბაბი იყო, სინამდვილეში კი პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახდა.



როგორ დაინტერესონ მოსამართლეთა გათა-  
ვისუფლების პროცესი?

კუბლაშვილამდე უზენაესი სასამარ-  
თლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია  
იყო. მოსამართლეთა ჩანაცვლების და-  
ვალება მასაც ჰქონდა, მაგრამ რადგან  
ეს არ გააკეთა, კუბლაშვილი დანიშნეს,  
თავად კემულარია კი იუსტიციის მინის-  
ტრად გადაიყვანეს.

როდესაც კოტე კუბლაშვილი უზენაესი  
სასამართლოს თავმჯდომარე გახდა, კაბი-  
ნეტში მოსამართლეების დაბარება მეორე  
დღეს უკავშირდა. კაბინეტში სტუმრობის შე-  
დეგები მოსამართლეები „საკუთარი ნებით“  
განცხადებებს წერდენ და მიდიოდნენ.

მაგალითად ვინ?

თანამიმდევრობაც კი მახსოვეს იმ მო-  
სამართლეების, რომელთა განცხადებე-

ბი კუბლაშვილის მაგიდაზე ერთმანეთის  
მიყოლებით იდებოდა. ვალერი ხრუს-  
ტალით დაიწყო, შემდეგი იყო ბადრი  
მეტრეველი, მურმან წიქაძე...

მაშინ მოსამართლეთა კორპუსი უნდა  
გაერთიანებულიყო. მაგრამ ეს ვერ  
მოხერხდა, რადგან მოსამართლეები  
შეშინდნენ. ეს შიში არ იყო საფუძველს  
მოკლებული. იმ რეზიმის პირობებში,



ფოტო: ლეილა გურიაშვილი

რომლის სახეც მაშინ თანდათან იკვე-  
თებოდა, მათ საპატიმროები ელოდათ.

მოსამართლეთა ჩანაცვლებამ  
მასობრივი სახე სწრაფად შეიძლო.  
ისეთ მოსამართლეებზეც გადავიდნენ,  
როგორებიც იყვნენ ნანა კლარჯეიშ-  
ვილი, მაია ახალაძე, ქეთევან გაბე-  
ლაია... რომლებიც თავისი წესიერებით,  
პატიოსნებით და პროფესიონალიზმით

გამოირჩეოდნენ და, რაც მთავარია,  
დამოუკიდებლები იყვნენ. მათი ჯერიც  
დადგა და განცხადებების დაწერა მა-  
თაც მოუწიათ.

სასამართლო სისტემაში უსამართლო-  
ბის ზეიმი და განუკითხაობა სუფევდა.  
კუბლაშვილს როგორც სურდა, ისე  
წყვეტდა ყველაფერს, ისე ჭრიდა და  
კერავდა. მოსამართლეებად მხოლოდ

ისინი ინიშნებოდნენ, ვინც მათი მონა-  
-მორჩილი იქნებოდა.

დაწინაურებაც შესაბამისი „დამსა-  
ხურების“ მიხედვთ ხდებოდა. მაგა-  
ლითად, ზაზა მეიშვილი, ახლანდელი  
მოადგილე, მას შემდეგ დააწინაურეს,  
რაც მან მოლაშვილის საქმეზე უკა-  
ნონო გადაწყვეტილება გამოიტანა. ის  
განაჩენის გამოცხადებიდან ორ კვირაში

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდა.

## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თქვენთან რა ურთიერთობა ჰქონდა?

იყო ერთი საქმე, სადაც პროკურატურას მტკიცებულების ნასახით არ ჰქონდა, და რა თქმა უნდა, გამატყუნებული განაჩენი არ გამოვიტანე, მაშინ დამიბარა პირველად და მეოთხა – თუ რატომ გავაკეთე ეს. ჩემი პასუხი ის იყო, რომ არც კანონს არაფრის დიდებით არ დავარღვევდი, და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს არ მივიღებდი.

საქმე ქუთაისელ კანონიერ ქურდს ეხებოდა, რომელსაც იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდნენ. ეს იარაღი მისი ბეჭისი საწოლის ქვევიდან ამოიღეს. მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე. იარაღის ამოღების ყველანარი პროცესუალური ფორმა დარღვეული იყო. მაშინ თანამოწმების ინსტიტუტი არსებობდა, თანამოწმები ამბობდნენ, რომ მათი მოსვლისას იარაღი უკვე ამოღებული იყო. ექსპერტის თქმით, თითო ანაბეჭდები მოგვიანებით აიღო, რადგან ფხვნილი არ ჰქონდა... მოკლედ მტკიცებულებები საშინელი დარღვევებით იყო მოპოვებული. სამწეხაროდ, ჩემი ხმა გადაწყვეტი არ იყო, გამატყუნებელი განაჩენი უცვლელი დარჩა. იმ დროის განმავლობაში როცა მე მოსამართლე ვიყავი, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დარბაზიდან გავიდი და მცხვნოდა რომ მანტია მეცვა.

მაშინ მან მეითხა, „მაშ რა უნდა გვექნა, ისინი ხომ კანონიერი ქურდები არიან?“ – უკეთესად იმუშაოს პროკურატურამ – იყო ჩემი პასუხი.

## თქვენი დისციპლინური დევნა როდის დაწყო?

ჯერ კიდევ კემულარიას დროს. ჩემი და რამდენიმე სხვა მოსამართლის გადაწყვეტილებები ხელისუფლებას არ მოსწონდა.

იმ პერიოდში საქართველოს ევროკავშირის ეგიდით ექსპერტები სტუმრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი უზენაეს სასამართლოში მუშაობდა, მეორე – მთავარ, ანუ მაშინდელ გენერალურ

პროკურატურაში, მესამე – იუსტიციის სამინისტროში და ა.შ. ისინი მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდნენ. მე მათთან მტკიცრო კავშირი მქონდა და ყველაფერს ვაცნობდი, მათ დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს და მაშინ ჩვენ მიმართ დისციპლინარული დევნა შეწყდა. კუბლაშვილის მოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ მივლინებაში წავედი მაქს პლანის ინსტიტუტში, სამეცნიერო თემაზე ვმუშაობდი და პრაქტიკასაც გავდიოდი. სწორედ იქ გავიგე, რომ დევნა განახლდა. კუბლაშვილის მოსვლის მიზანი სწორედ ხელისუფლებისთვის არასასურველ მოსამართლეთა წმენდა იყო.

## ■ სასამართლო სისტემაში უსამართლობის ზეიმი და განუკითხაობა სუფევდა. კუბლაშვილს როგორც სურდა, ისე წყვეტდა ყველაფერს, ისე ჭრიდა და კერავდა. მოსამართლებად მხოლოდ ისინი ინიშნებოდნენ, ვინც მათი მონა-მორჩილი იქნებოდა.

არავის აინტერესებდა მოსამართლეთა განათლება, დღეს ხედავთ რა ამბევა ატეხილი დიპლომებთან დაკავშირდებით? არამხოლოდ სასამართლო სფეროში, არამედ ყველგან ერთი და იგივე სიტუაცია იყო. ყველგან პრძანებების უსიტყვიდ შემსრულებელი სჭირდებოდათ, რადგან ქვეყანაში გადაწყვეტილებას ერთი კაცი, პრეზიდენტი იღებდა.

როდესაც პოლანდიელ მოსამართლეთა ასოციაციის შეკრებაზე სიტყვით გამოვედი და ჩემი გათავისუფლების გარემოებები აღვწერე, მათ ვერ გაიგეს და ხელმეორედ მომაყოლეს. ვერ მი-

ხვდნენ, რას მედავებოდნენ.

სხვათა შორის, ის გადაწყვეტილება დღემდე კანონიერ ძალაშია.

ჩვენ არ ვჭირდებოდით როგორც მოსამართები, რადგან იცოდნენ, რომ ჩვენზე მარტივად გავლენას ვერ მოახდენდნენ.

## თქვენ გამორიცხავთ, რომ სისტემაში კორუფცია არსებობდა? იქნებ ჩანაცვლება ამიტომ იყო საჭირო?

რანაირად უნდა გამოვრიცხო, როდესაც მოსამართლეს იმ პერიოდში 380 ლარი ხელფასი ჰქონდა. მაგრამ იყვნენ მოსამართლები, რომლებიც ნამდვილად არ იყვნენ კორუმპირებულები და, სამწეხაროდ, სასამართლოს წმენდა სწორედ მათთით დაიწყო. და მოსამართლები, რომელთაც კორუმპირებულის სახელი ჰქონდათ, პირიქთ, დარჩნენ, დაწინაურდნენ. რატომ? ზოგი კუბლაშვილის ნათესავი იყო, ზოგი მისი ცოლის ნათესავი და ა.შ.

მოსამართლებისთვის, რომელთა გადაწყვეტილებები უბრალოდ არ მოსწონდათ, სასამართლოს კარი დაიხურა, ისინი ამას მაშინ იგებდნენ, როდესაც სამახურში მისულებს კარის გასახსნელი ბარათები დაბლოკილი ხვდებოდათ, შემდეგ უცხადებდნენ, რომ გადაწყვენილი არიან სხვაგან, რაიონში.

## ე.წ. „მოსამართლეთა გაციმშირებას“ გულისხმობთ?

კი, ერთ-ერთმა მოსამართლემ, შორენა გუნცაძემ ეს ამბავი უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, მერაბ ტურავამ გაახმაურა, და კუბლაშვილმა გუნცაძე კაბინეტში დაიბარა და დატუქსა. დღეს კუბლაშვილი მათ ისევ თავიანთ ძველ ადგილებზე ეპატიუება.

უფრო მეტსაც გეტყვით, იყო ასეთი მოსამართლე, ლაზარშვილი, რომლის გადაწყვეტილებები ასევე არ მოსწონდათ, ის ადმინისტრაციული მოსამართლეა, და პირდაპირ კი არ გაათვიასუფლეს, უბრალოდ სისხლის სამართალში გადასვლა შესთავაზეს.

шсүсән  
смд

880

9  
лт

псунеф  
шсәсе  
жсем

00:22



როდესაც მან განაცხადა, რომ სისხლის სამართლში არასდროს უმუშავია და ვერ შეძლებდა, დააწერინეს განცხადება და გაუშევეს. გათავისუფლება პროცე-დურის მთლიანი დარღვევით მოხდა, მოსამართლის განცხადება იუსტიციის საბჭომ უნდა განიხილოს, განცხადების თარიღი 25 რიცხვია და კუბლაშვილის რეზოლუციაც ამავე თარიღითაა. ანუ არავისაც არ განუხილავს.

ეს ადამიანი, კუბლაშვილი დღეს გა-მოდის და ამბობს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა სურს. როგორ უნდა დავიჯერო, რომ კუბლაშვილი მართლმ-საჯულების დაცვის სადარაჯოზე დგას?

**პროკურატურა** იქტერს, სასამართლო ათავისუფლებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ერთმანეთის ხვდებიან, კოპაბიტაცია გრ-ძელდება, აღმასრულებელ ხელისუფლე-ბას შორის დაპირისპირება არ წყდება, დომინირებს მოსაზრება, რომ სასამარ-თლო ყოფილი ხელისუფლების გავლენის ქვეშა... ეს ჩვეულებრივი ვითარება არ არის. გამოსავალს სად ხედავთ?

არსებობს სიმართლის გზა, ყველა მოქმედმა მოსამართლემ, ამ ხნის გან-მავლობაში ვისაც რა განუცდია, უნდა ღიად განაცხადოს, რა და როგორ, რა მექანიზმებით ხდებოდა მათზე ზენოლა, ეს მათ ტვირთად აწვეთ, მოსამართლებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. კარგად იციან, რა განაჩენებზე აწერდ-ნენ ხელს, მაგრამ ისიც იციან, რატომ აკეთებდნენ ამას. მათ უნდა ეყოთ სამოქალაქო გამბედაობა, რომ ამ თემე-ბზე ღიად ისაუბრონ. მე მათ მოვუნო-დებ, რომ გამოვიდნენ და ილაპარაკონ.

მე მათგანვე, ვიცი რა გადაწყვეტილე-ბებზე უნევდათ ხელის მოწერა, დღეს ამ გადაწყვეტილებების გადახედა დაიწყება და მოსამართლეთა პასუხისმ-გებლობის საკითხი მაინც დადგება.

თუმცა, კანონი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეზე გადაწყვეტილების გამო პასუხისმგებლობა ეკისრებდათ შეცვლილია...

კი, ბატონი, შეცვალეს. „უკანონო გადაწყვეტილების მიღება“ – იყო ასეთი

მუხლი, რომელიც სისხლის სამართლე-ბრივ დევნას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვრნებ დასცი-პლინური დევნისგან გათავისუფლდება.

იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლე-ბა შეცვლილია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს რა ბერკეტი შეიძლება პქნდეს მოსამართლეებზე ზენოლის-თვის

**■ მოსამართლის და-მოუკიდებლობა რა-დენიმე სეგმენტისგან შედგება, გარდა იმისა, რომ ის უნდა იყოს პოლიტიკუ-რი გავლენისგან დამოუკიდებელი, მას ფიქოლოგიური, შინაგანი დამოუკი-დებლობა უნდა გააჩნდეს. საზოგადოე-ბრივი აზრიც და პრესაც მოსამართლის წენებია. კარგი განათლება, კანონის და-ცვა და დამოუკიდებლობა... სულ ესაა.**

**მოსამართლის და-მოუკიდებლობა რა-დენიმე სეგმენტისგან შედგება, გარდა იმისა, რომ ის უნდა იყოს პოლი-ტიკური გავლენისგან დამოუკიდებელი, მას ფიქოლოგიური, შინაგანი დამოუკიდებლობა უნდა გააჩნდეს. საზოგადოე-ბრივი აზრიც და პრესაც მოსამართლის წენებია. კარგი განათლება, კანონის და-ცვა და დამოუკიდებლობა... სულ ესაა.**

მოსამართლები, რომლებიც წლე-ბის განმავლობაში უსამართლობას სჩადიოდნენ, არ შეიძლება, რომ ერთ დღეში დამოუკიდებლები გახდენ.

**საზოგადოებრივი აზრის გამოვითხვე-ბში, სასამართლო ნდობის თვალსაზრი-სით ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებდა ხოლმე. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნდობა დაბრუნდეს, უფრო სწორად შეიქმნას?**

მართალი ხართ. იყო ასეთი გამოკი-თხვა, სადაც სასამართლოსადმი ნდობა ქურდული სამყაროსადმი ნდობას ჩამოუვარდებოდა. პასუხი ერთია,

მოსამართლემ კანონის მიხედვით, და-მოუკიდებლად უნდა იმოქმედოს. ნდობა ავტომატურად გაიზრდება.

მოსამართლის დამოუკიდებლობა რა-მდენიმე სეგმენტისგან შედგება, გარდა იმისა, რომ ის უნდა იყოს პოლიტიკუ-რი გავლენისგან დამოუკიდებელი, მას ფიქოლოგიური, შინაგანი დამოუკი-დებლობა უნდა გააჩნდეს. საზოგადოე-ბრივი აზრიც და პრესაც მოსამართლის წენებია. კარგი განათლება, კანონის და-ცვა და დამოუკიდებლობა... სულ ესაა.

არათუ საზოგადოება, არამედ დამ-ნაშავეც კი არ დარჩება განაწყვენებული თუ სამართლიანად მოექცევი, რად-გან მან ყველაზე უკეთ იცის რამდენი ეკუთვნის.

**წლების განმავლობაში სასამართლოს დაქვემდებრებაზე და პოლიტიკურ ზენოლაზე საუბარი მიმდინარეობს. ამაში თავად მოსამართლების პასუხისმ-გებლობის წილი რამდენია?**

უფრო ვიტყოდი, რომ ამ რეჟიმის მსვერპლი არიან. სამართლიანობის აღდგენა მაინცდამაინც ციხეებში ჩას-მას არ გულისხმობს, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიქენი თუ სასამართლო-ზე ისეთივე ზენოლა დაიწყება, რო-გორც ნაციონალური ხელისუფლების მოსვლის დროს იყო, თუ ისევ დაიწყო მოსამართლეთა კაბინეტებში დაბარე-ბები და ა.შ. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ იმ უკანონობასა და უსამართლო-ბაზე თუდაც მორალურად პასუხი არ აგონ.

მოსამართლებში შინაგანი დამოუკი-დებლობის გრძნობამ უნდა გაიღეოდოს, ერთადერთა გამოსავლად ეს მიმართია.

## **რამ უნდა გააღინიძოს?**

არ ვიცი, ალბათ პრინცის კოცანამ, ეს ხუმრიობით, სერიოზულად კი – ერთადერთი გამოსავალია სასამარ-თლო კორპუსმა თავად უშველოს საკუთარ თავს, სხვები კი არ უნდა იბრძოდნენ მათი დამოუკიდებლობის-თვის, არამედ თვითონ უნდა ჩაერ-თონ ამ ბრძოლაში. **■**

**ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი**

# რატომ არიან მდიდარი ადამიანები მდიდრები

## ჰერი ფორდი

„ შანსი ყველას თანაბრად  
ეძლევა, მაგრამ სწორად  
მხოლოდ წარმატებულები  
იყენებენ



# 13.95%

სამოქანაგრებლო  
სისხი

# ჯახისძეს ცემოვნების 24 საათი

სენაკის სამხედრო ბაზა ქალაქის რკინიგზის სადგურიდან ავტომობილით რამდენიმე წუთის სავალზე მდებარეობს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის დროს, რუსმა სამხედროებმა სამხედრო ობიექტი გაძარცვეს, ბუნკერები დაბომბეს, საფრენი ზოლი მწყობრიდან გამოიყვანეს, საბრძოლო ტექნიკა კი მოიპარეს. აგვისტოს ომს მეორე ქვეითი ბრიგადის 33 სამხედრო ემსხვერპლა. ომის შემდეგ ბაზაზე რეაბილიტაცია ეტაპობრივად მიმდინარეობდა და დღეისთვის სენაკის სამხედრო ბაზა სრულფასოვნად ფუნქციონირებს.

ავტორი: გიორგი ჭეიშვილი, ფოტო: გიორგი გოგუა





თბილისიდან 5 საათიანი მგზავრობის შემდეგ მატარებელი სენაკის რეინიგზის სადგურში ჩერდება. სადგურიდან სენაკის სამხედრო ბაზამდე მისასვლელად 3 კილომეტრის გავლაა საჭირო.

ბაზის თავზე ქართული დროშა ფრიალებს. აქ მეორე ქვეითი ბრიგადაა განლაგებული. საგუშაგოზე მობილურ ტელეფონზებს ვწოვებთ, სამოქალაქო პირებს სამხედრო ობიექტზე მათი შეტანა ეკრძალებათ.

შლაგბაუმიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ოფიცირებისა და სერუანტების ოჯახების საცხოვრებელი კორპუსებია. ეზოში ბავშვების-თვის საათამაში მოედანია მოწყობილი.

„სკოლის ასაკის ბავშვებისთვის ავტობუსი გვყავს გამოყოფილი, დილაბით აკითხავთ, სკოლაში მიჰყავს და იქიდანაც ავტობუსითვე ბრუნდებიან. პერიოდულად, შაბათ-კვირას, განმუხტვის დღეებს უწყობთ“, – გვიხსნის მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჩხაიძე.

საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული ქალაქი, სადაც ვარჯიშებთან ერთად სპორტული ლონისტიები იმართება და წმინდა ცოტნე აღმსარებლის სახელობის ეკლესია, რომელიც ავლანებისა და ერაყის სამშვიდობო მისიების მონაწილე სამხედროების შემოწირულობით აშენდა. ტაძარში ბრიგადის კაპელანი, მამა ოსები წირავს და პატრიოტულ მეცანიერებებსაც ატარებს. კაპელანი ავლანეთსა და ერაყიცაა ნამყოფი, 2008 წლის ოში კი სამხედროებს დაჭრილი მებრძოლების გამოყვანში ეხმარებოდა.

ტერიტორიაზე ყაზარმებთან და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებთან ერთად სამედიცინო პუნქტი, სპორტდარბაზი, აუზი და ბიბლიოთკაა განლაგებული.

2008 წლის ოში დროს სენაკის სამხედრო ბაზა რუსმა ჯარისკაცებმა დაიკავეს. ქართველ სამხედროებს ბაზა გაძირცეული, საფრენი ზოლი მწყობრიდან გამოსული, ბუნეერები დაბომბილი, ტექნიკა კი წაღებულ დასვდათ.

რუსეთ-საქართველოს ოში მეორე ქვეითი ბრიგადის 33 სამხედრო დაიღუპა. ბაზაზე მათი სხვინის მემორიალი დგას. „ვინც არ უნდა გაართოს მემორიალის გვერდით, აბსოლუტურად ყველა ვალდებულია დაღუპულებს მხედრული სალამი მისცეს“, – ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჩხაიძე.

სამხედროების სამუშაო პროცესი დილით, საქართველოს პიმნით იწყება. ამ დროს ყველა სამხედრო მოსამსახურე სმენაზე დგება.

სამუშაო დღის გრაფიკი გეგმით არის განერილი. დილის ადგომა 6 საათზე იწყება. ჯერ კიდევ სიბნელეა, წვიმს და ქარი ქრის. 6-ს რომ 10 წუთი აკლია, პირადი შემადგენლობის გასაღვიძებლად უმცროს მეთაურთა შემადგენლობა დგება, „პატარეა ადევ!“, გაისმის მეთაურის ხმა, ჯარისკაცები პირად ჰივიენას იწესრიგებენ და სპორტულ ტანსაცმელს იცვამენ, „დააჩქარეთ, დრო 10 წუთი!“

10 წუთის შემდეგ სამხედროები ეწყობიან – „პირველი მწვრივი, 5 ნაბიჯით წინ, ნაბიჯით იარ! მეორე მწვრივი ოთხი ნაბიჯით წინ, ნაბიჯით იარ! მესამე მწვრივი ორი ნაბიჯით წინ, ნაბიბით იარ! ყურადღებით, ვაწყებთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს!“

დილის გამამხნევებელი ვარჯიში 20-დან 30 წუთამდე გრძელდება.

„ყურადღებით, ბატარეა ნაბიჯით იარ! ბატარეა სირბილით იარ! „ერთი, ერთი, ერთ-ორი-სამი, ერთ, ერთ, ერთი-ორი-სამი! სიმღერა – დაინყი!“

„ჩენ ვართ ქართული არმია, ჩენთვის ვარჯიში კარგია, დაკარგულს ჩენ დავიბრუნებთ, გულზე რომ გვნევს ჯავრია, ისევ აღვსდგებით ქართველი ...“ – სამხედროები ბრძანებას ემორჩილებიან.

მომდევნო ეტაპი დილის დათვალიერებაა, რომელშიც უმცროსი მეთაური – ათეულის მეთაური, ოცეულის მეთაური და სერუანტი იღებენ მონაწილეობას, აწყობენ პირად შემადგენლობას და გარეგან იერს უმოწმებენ, ანუ ამოწმებენ მზად არს თუ არა სამხედრო იმ დღისთვის. დილის, ანუ სამწყობრო დათვალიერების შემდეგ ქვედანაყოფი საუზმებები მიდის. საუზმე დილის 07:30 საათზე იწყება და 8-მდე სრულდება.

სასადილოში საკვების გასაცემი თხი პუნქტია. თითოეულ მაგიდაზე ექვსი ადამიანი ჯდება. კუთვნილი ულუფის მიღება რიგის მიხედვით მიმდინარეობს. როდესაც სასადილოში ერთი ასეულილა შემოსასვლელი, მხოლოდ ორი გამანაწილებელი პუნქტი რჩება.

ჯარისკაცებს სამჯერადი კვება აქვთ, დილით, შეუდღეს – 13 საათსა და საღამოს 7 საათზე. კვების რაციონი მენუს მიხედვით განისაზღვრულია, განსაზღვრულია ისიც, თუ რა ულუფა ერგება თითოეულ ჯარისკაცს, პოლიგონზე მყოფ სამხედროებს საკვებს ადგილზე უგზავნიან.

საუზმის შემდეგ, 6 საათი ქვედანაყოფის გეგმის მიხედვით თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს ეთმობა.

- ბაზის დათვალიერები-სას ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჩხაიძე გვიხსნის, რომ კონტინგენტის ან ტენინის რაოდენობის დასახელებას ყველა სამხედრო ერიღება, რადგან რაოდენობიდან გამოდინარე უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურში შესაძლოა კონკრეტული მონაცემები დაადგინოს.



დღლის ადგომა

საკლასო მეცადინეობა 9 საათზე იწყება. აუდიტორიაში 26 ჯარისკაცი ზის. დღის სასწავლო დისციპლინა სამხედრო ტოპოგრაფია, მეცადინეობის თემა კი რუკის წაკითხვა, კომპასი, ნავიგაცია, ადგილზე და სანავიგაციო სისტემის გარეშე გადაადგილება.

„ტოპოგრაფიის – საგნის, როგორც სამხედრო დისციპლინის მიზანი ადგილმდებარეობის შესწავლა, მასზე გაზომვების ჩატარება და მისი სამხედრო მიზნებისათვის გამოყენებაა. რა ფერად აღინიშნება რუკაზე მწვანე საფარი, ჰიდროგრაფიული ქსელი და ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტები?“

კითხვას, რიგითი კაპანაძე პასუხობს, რელიეფისა და მისი ფორმების ახსნისას კლასს ვტოვებთ.

მეორე ქვეითი ბრიგადის მაიორი ჩუბინიძე განმარტავს, რომ ახალწერებულებთან ძირითადად პირველადი აუცილებლობის მომზადება მიდის, შემდგომში კი მომზადების დონე ქვედნაყოფების მიხედვით იზრდება. ძირითადი საგნები სამხედრო ტოპოგრაფია, საცეცხლე, ფიზიკური



შუადღის ფიზო



და სახელმწიფოებრივი მომზადებაა – „იკითხება საქართველოს ისტორია, მამა იოსებსაც აქვს დრო გამოყოფილი და ჯარისკაცებს რელიგიის შესახებაც უკითხავს ლექციებს. თითქმის ყველა დისკიპლინაში, რაც კი სამხედროს სჭირდება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადნეობები ტარდება“, – ამბობს მაიორი ჩუბინძე.

სწავლებისთვის გამოყოფილი დრო ორად იყოფა და ექვსი საათი გრძელდება, შეუძი კი სადილია. სასადილოს ნინ მონცობილი სამხედროები საქაუთარ რიგს ელოდებიან. დათქმულ დროზე გვიან მისული ორი ჯარისკაცი თავის მართლების მიუხედავად, ბრიგადის სერჯანტის გან შენიშვნას იღებს.

ბაზის დათვალიერებისას ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიერი ზაზა ჩხაიძე გვიხსნის, რომ კონტინგენტის ან ტექნიკის რაოდენობის დასახელებას ყველა სამხედრო ერიდება, რადგან რაოდენობიდან გამომდინარე უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურმა შესაძლოა კონკრეტული მონაცემები დაადგინოს.

საკონტროლო გამშვებ პუნქტზე დისციპლინარულ შენიშვნას კიდევ ერთი სამხედრო მოსამსახურე იღებს – „დისციპლინიდან ოდნავი გადაცდენა ამდენი შეიარაღებული მამაკაცის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. გამშვებ პუნქტზე მიცემული შენიშვნა ელემენტარულია, თუმცა სამხედრო კონკრეტულ დავალებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. პატარა ნიუანსმაც კი მომავალში სავალალო შედეგამდე შეიძლება მიგვიყვნოს“, – ამბობს ზაზა ჩხაიძე.

გზაზე სამხედრო ჯგუფი გვხვდება. პრაქტიკული მეცადინეობა აქვთ – 10 კილომეტრიან მარშს გადიან და მის დეტალებს ამუშავებენ.

„მეთაურები უხსნიან ჯარისკაცებს, რა და როგორ უნდა გააკეთონ. ვთქათ, როდესაც ასეული გადაადგილდება, მას უსაფრთხოების ელემენტი უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში ეს ორი ჯარისკაცი, რომელიც ჯგუფის ნინ მიდის, დაზვერვას ანარმონებს. ასეთი ნიუანსები თეორიულად ისწავლეს, ახლა პრაქტიკულად ამუშვებენ. აღჭურვილობის წონა დავალების სირთულეზეა დამოკიდებული, მზვერავები



სასადღლო

გაცილებით უფრო მსუბუქად არიან აღჭურვილნი. ეს პატარა მარშა, უფრო დიდებიც არის დამოკიდებული და ასეთ შემთხვევაში დავალების შესასრულებელი დღეებიც იზრდება“, – ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჩხაიძე.

„ვცდილობთ დიდი ზომის ქვედანაყოფს წავადგეთ, ჩასაფრებაში რომ არ მოხვდეს, მას წინ ყოველთვის პატარა ზომის ქვედანაყოფი უძღვის, რომელიც მოწინააღმდეგის ჩასაფრებული ჯგუფისათვის ლირებული არ არის, სახელიც ასეთი ჰქეია – უსაფრთხოების ჯგუფი“, – საუბარს განაცრობს მაიორი ჩუბინძე.

საკლასო მეცადინეობის შემდეგ, 16 საათზე ძრითადი ფიზიკური მოზადება იწყება და 1.5 საათს გრძელდება. შუადღის „ფიზო“ კონკრეტული გეგმის მიხედვით ტარდება, სხეულის გახურებას აზიდვები, პრესის ვარჯიში, სირბილი და ლერძზე მიზიდვები მოჰყვება.

22-ე პატალიონს „ფიზოს“ სერუანტი კახა კიუტი უტარებს. სერუანტი 2005 წლიდან მსახურობს, ყოფილი სპორტსმენია, მუხროვანის ბაზაზე

კი რეინჯერთა მოსამზადებელი კურსი აქვს გავლილი.

„სირბილის დაწყება ორგანიზმის გახურებამდე არ შეიძლება“, – განმარტავს ბატალიონის მეთაური, მანუჩარ ბარბაქაძე, „კუნთი რაღაც დონეზე უნდა გახურდეს, რის შემდეგაც სირბილი შესაძლებელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ვარჯიში უშედეგოა. გახურების შემდეგ კუნთის დამზებება ხდება, რის შედეგადაც სხეული უფრო ელასტიური და მოქნილია, ამასთანავე, ადვილად იტანს გაზრდილ დატვირთვებს მომდევნო ვარჯიშებზე“, – ამბობს მანუჩარ ბარბაქაძე.

მოთელვის შემდეგ სერუანტის ბრძანება გაისმის – „სირბილით იარ, სიმღერა დაიწყეთ!“

„ვდარავობთ მიწას, მშეობლის ვიცავთ, მომავალს ნათელს, სამშობლოს ვფიცავ, მებრძოლი სული, გვარგუნა ღმერთმა, ქართველთა ჯარის, გული ძეერს ერთხმად, გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ჩვენ სამშობლოს გაუმარჯოს“... – მღერიან ჯარისკაცები.

■ 2008 წლის ომის დროს სენაკის სამხედრო ბაზა რუსმა ჯარისკაცებმა დაიკავეს. ქართველ სამხედროებს ბაზა გაძარცვული, საფრენი ზოლი მწყობრიდან გამოსული, ბუნკერები დაბომბილი, ტექნიკა კ ნალებული დახვდათ.



ფეხბურთი ასეულებს შორის

■ ბიბლიოთეკას წიგნებით თავდაცვის სამინისტრო ამარავებს, აღილება დაახლოებით 40 ათასი წიგნია, მათი ძირითადი ნაწილი სამხედრო ოქმატიკისაა, თუმცა თაროებზე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიცაა წარმოდგანი.

მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეთა ნაწილს საბრძოლო გამოცდილება სხვადასხვა სამშენებლო მისიებში მონაწილეობითაც აქვს მიღებული.

მასტერ-სერჯონტი ლაშა სამსონიძე 4 თვეა, რაც ავლანეთის სამშენებლო მისიდან დაბრუნდა. სამხედრო სფერო ბავშვობიდან იზიდავდა, რამაც განაპირობა კიდევ მისი მომავალი პროფესია. სავალდებულო სამხედრო სამსახური საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, 2001 წელს გაიარა, 2006 წლიდან კი საკონტრაქტო სამსახურში გადავიდა. ამავე წელს მონაწილეობდა ერაყის მისიაში – „სამშენებლო მისიებში საქმაოდ მაღალი იყო საბრძოლო სულისკვეთება, ვებრძოდით ტერორიზმს, ვაკვირდებოდით NATO-ს ჯარისკაცებს, ვიღებდით დიდ გამოცდილებას. პირადად მე არა მარტო სამხედრო, არამედ სამედიცინო დახმარების კუთხითაც კარგი პრაქტიკა მივიღე“.

კაპრალი გიორგი ჩიხია, რომელიც საკონტრაქტო სამსახურში 2008 წლიდან მსახურობს, 2012 წელს ავლანეთის სამშენებლო მისიაში მონაწილეობდა – „7 თვე ვიმსახურე ავლანეთში, სნაიპერი ვიყავი და ჩემი ამოცანები მქონდა, ძირითად ჩემი მისია ქართული პატრულის უსაფრთხოების დაზღვევა იყო. დიდი ხან არ არის, რაც შეიარაღებულ ძალებში ვმსახურობ, ჩემი მოსვლიდან სწავლის დონე უფრო და უფრო იზრდება“.

სენაკის სამხედრო ბაზაზე ვირტუალურ-სიმულაციური სწავლების ცენტრიც მდებარეობს. ინსტრუქტორი 5 სამხედროს სროლის წესებს



აცნობს, 3 ჯარისკაცი । სამიზნეს ესვრის, დანარჩენი ორი კი II-ს. საცეცხლე წერტილიდან სამიზნემდე დაახლოებით 7 მეტრია. თითოეულმა ჯარისკაცმა 10 გასროლა უნდა განახორციელოს. ავტომატური იარაღის მჭიდრი აირითაა დატენილი.

ვირტუალურ-სიმულაციური სწავლების ჯგუფის სპეციალისტის, სერეანტ გორგიძეს გან-



სომულაციური ცენტრი

მარტებით, აღნიშნულ მეცადინეობაში დაგროვებულ ქულებს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან გაკვეთილის მიზანი ნატყვიართა შეჯგუფულობის დადგენა და სამხედროთათვის რეკომენდაციების მიცემა.

სენაკის ბაზაზე სამხედროთა უდიდეს ნაწილს მამაკაცები შეადგენენ, თუმცა აյ 50-ზე მეტი ქალბატონი მსახურობს, ისინი თითქმის ყველა

ქვედანაყოფში არიან განაწილებულნი, ძირითადად კი სამედიცინო პუნქტში მსახუროებენ.

კაპრალი ორმა ტაბატაძე ბრიგადის ბიბლიოთეკარია. მან მეუღლე 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომში დაკარგა.

ბიბლიოთეკას წიგნებით თავდაცვის სამინისტრო ამარაგებს, ადგილზე დაახლოებით 40 ათასი წიგნია, მათი ძირითადი ნაწილი სამხედრო



სალამოს ამოძახება

თემატიკისაა, თუმცა თაროებზე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიცაა წარმოდგენილი.

„ჯარისკაცებს ძირითადად საბრძოლო და საცეცხლე მომზადების შესახებ არსებული ნაწარმოებები გააქვთ. დრო როცა აქვთ მხატვრული ლიტერატურასაც კითხულობენ – უმეტესად ისტორიული უანრის ნაწარმოებებს. ახალი გამოცემებიც გვაქვს და აქტივობაც საკმაოდ მაღალია, დაახლოებით 5-დან 6 ათასამდე წიგნია ბრუნვაში“, – ამბობს ორმა ტაბატაძე.

სამხედროების სამუშაო დღე სალამოს 6 საათზე მთავრდება, მეორედ გაისმის პირი, პირადი შემადგენლობის ის ნაჩილი, რომელიც დათხოვნაში მიღის სამოქალაქო ტანსაცმელში ეწყობა, ხოლო კონტინგენტი, რომელიც ბაზაზე რჩება, თავისუფალი დროისთვის ემზადება.

„დათხოვნაში წამსვლელ პირად შემადგენლობას უტარებენ ინსტრუქტაქს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბაზაზე არყოფნის დროს, რომ უნდა ახსოვდეს – ის ყველგან ჯარისკაცია, თუნდაც სახლში, ან ტრანსპორტში. ბაზაზე მყოფ ჯარისკაცებს თავისუფალი დროის გაყვანა ამის შემდეგ საბილიარდოში, სპორტარბაზში ან ფილმების ყურებით შეუძლიათ. ჯარისკაცებს სამხედრო თემატიკაზე გადაღებულ ქართულ

და უცხოურ ფილმებს ვაჩვენებთ, ასევე გვაქვს დოკუმენტური ფილმების სერია: ქაუცა ჩოლოყაშვილზე, მარო მაყაშვილზე, სოხუმის დაცუმაზე და ა.შ“, – ამბობს მეორე ქვეითი ბრიგადის სერუანტი რამაზ პაკიძე.

სპორტდარბაზიდან სმაური გამოდის. სხვა-დასხვა ასეულისგან დაკომპლექტებული გუნდები ფეხბურთის თამაშობენ. ასეულების გარდა მათი განმასხვავებელი ნიშანი სხვადასხვა ფერის მასურებიცაა. საფეხბურთო მატჩის პარალელურად რამდენიმე ჯარისკაცი აუზზე ცურავს, ცალკე მდებარე საბილიარდოში კი ერთ-ერთი ბატალიონის პირადი შემადგენლობაა შეერებილი.

საბილიარდოს კარზე ცხრილია გამოკრული, გრაფიკზე აღნიშნულია, თუ რომელ ქვედნაყოფს უწევს დარბაზში შესვლა. ოთახში ბილიარდის ერთი და პინგ-პონგის რო მაგიდა დგას, ჩართულია მუსიკალური ცენტრიც.

21:30 წუთზე სალამოს ამოძახება, ანუ სალამოს შემონმება იწყება. მონაცემების შეჯამების შემდეგ, დგინდება, თუ ვინ არის დათხოვნილი, შვბულებაში ან რამდენი სამხედროა მოთავსებული პოსპიტალში.

სალამოს შემონმებას ბატალიონის მორი-

გე ატარებს. ბატალიონის სერუანტი ამონმებს, დგას თუ არა ყველა სამხედრო მწყობრში.

„ბატალიონი მოეწყვე, ბატალიონ სმენა!“

ბატალიონის მორიგეები 24 საათის ვადით, ოფიცერთა შემადგენლობიდან ირჩევიან. მათ ემორჩილებიან ასეულის მორიგეები, რომლებსაც სერუანტთა კატეგორიიდან, ან კარგად მომზადებული ჯარისებიდან ირჩევენ სიის ამოკითხვისას უურნალებში აღირიცხება, თუ ვინ სად არის.

მწყობრმი ერთი ასეული შეიარაღებით დგას, ეს არის მორიგე, ანუ ბრიგადის სწრაფი რეაგირების ქვედანყოფვა. თითოეული ქვედანყოფვი ერთი თვის მანძილზე მორიგეობს.

ბატალიონის მორიგე ასეულის მორიგებისგან მოხსენებას ელოდება. ამოძახების შემდეგ მონაცემებს ბატალიონის მორიგეს აცნობენ.

„ბატონო ლეიტენანტო, ალფა ასეულში საღამოს ამოძახება ჩატარებულია. ყველა ადგილზეა, გარდა შვებულებისა, 9 დათხოვნისა, 5 განმწერისას“. დამატებითი კონტროლის მიზნით, ასეულებში ყოველთვის რჩება ერთი პასუხისმგებელი ოფი-

ცერი, ბატალიონში – ბატალიონის მეთაური ან შტაბის უფროსი. ასეულის მორიგეები მწერივში დგებიან და ბატალიონის მორიგე ბატალიონის დონეზე მაიორს ახსენებს – „ბატონო მაიორო, 22-ე ბატალიონის საღამოს ამოძახება ჩატარებულია, ყველა ადგილზეა გარდა მოვლინებულისა, შვებულებისა, ჰიპერტალისა და დათხოვნისა. ბატალიონის მორიგე, ლეიტენანტი კაპანაძე“

„თავისუფლად!“

„ბატალიონ, თავისუფლად!“

„გააგრძელეთ გეგმის მიხედვით!“

ბატალიონის სერუანტი პირად შემადგენლობას თავ-თავის ადგილზე უშვებს. ასეულის სერუანტებს პირადი შემადგენლობა მიჰყავთ. საღამოს ამოძახების შემდეგ პირადი შემადგენლობა ყაზარმებში ნაწილდება, ჯარისკაცები თავს იწესრიგებენ, 22 საათზე კი გასაყრისი ცხადდება - მორიგეების გარდა ყველა იძინებს. საღამოს ათი საათი ხდება, სენაკში წვრილად წვიმს და ქარია. „ძევლი გამოთქმა ასეთი – ჯარისკაცს არ შია, არ სტკივა არ ცივა; ჯარისკაცს შია, სტკივა და ცივა, მაგრამ იტანს!“ – მეუბნება ბრიგადის უფროსი სერუანტი. **■**

*Radio Commersant*

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის კარსონალური რალი

*Commersant.ge*

# ეძღვი ბაზეს ეძღვი პრბლები

ქართული სამშენებლო ბიზნესი ღრმა კრიზისშია. კრიზისი, რომელიც 2007 წელს დაიწყო, ათასობით ადამიანისთვის მწარე დრამად იქცა: 15 000-მდე ოჯახი გაჭიანურებული მშენებლობის დასრულებას დღემდე ამაოდ ელოდება, სამშენებლო კომპანიის ოთხმა ხელმძღვანელმა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

## მანანა ვარდიაშვილი

უძრავი ქონების ბაზრის სტაგნაცია 2007 წლის სექტემბრიდან დაიწყო. სამშენებლო კომპანიების არასწორი მენეჯმენტით გამოწვეული პრობლემები რუსეთის სამხედრო აგრძესამ და გლობალურმა საფინანსო კრიზისმა კიდევ უფრო გააღმარმავა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დეველოპერებს გაყიდვები მკვეთრად შეუმცირდათ. დაუმთავრებელი და შეჩერებული მშენებლობები თბილისის იერსახის განუყოფელ ნაწილად იქცა.

უძრავი ქონების ბაზრის სტაგნაციიდან გამოყვანის მიზნით დეაქალაქის მერიამ 2009-2010 წლებში სამშენებლო კომპანიების მხარდამჭერი პროექტი წამოიწყო – „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. მენაშენეთა და საბანკო ასოციაციების და თბილისის მერიის შეთანხმებით, დეველოპერებმა დაუმთავრებელი მშენებლობების დასასრულებლად ბანკებიდან სახელმწიფო გარანტით კრედიტი გამოიტანეს, სანაცვლოდ კი ყველა იმ უბნიდან, სადაც მწვავე ავარიული მდგომარეობა იყო,

მოსახლეობა გაიყვანეს. „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ განხორციელებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100 მლნ ლარი დაიხარჯა.

ბიუჯეტიდან დახარჯული მილიონობით ლარის მიუხედავად, სამშენებლო სექტორი კრიზისიდან მაინც ვერ გამოვიდა. დეველოპერთა დიდმა ნაწილმა ბანკებიდან აღებული კრედიტების უკან დაპრუნება ვეღარ მოახერხა, რადგან ბინებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა. ბინებზე არსებული დაბალი მოთხოვნის, გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე შემცირებული ფულადი გზავნილებისა და საკრედიტო შიმშილის შედეგად სამშენებლო კომპანიები ფიანსების გარეშე დარჩნენ, რის გამოც დეველოპერული კომპანიების უკვე დაწყებული პროექტების უდიდესი ნაწილი ვეღარ განახლდა.

თბილისში 130 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შეჩერებულია. გაკოტრების ზედმეტად რთული პროცედურების გამო დეველოპერული კომპანიების დიდი ნაწილი მხოლოდ



ფოტო ლევან დორიშვილი

ქალალდზე არსებობს: თუ 2008 წლის აგვისტოს ომამდე უძრავი ქონების ბაზარზე 45 სამშენებლო კომპანია მუშაობდა, ამჟამად საქმიანობას მხოლოდ ხუთი მათგანი აგრძელებს.

„დეველოპერული ბიზნესის კოლაფსი გლობალური საფინანსო კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის გარეშეც გარდაუგალი იქნებოდა,“ – ამბობს სამშენებლო კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე, – „სამშენებლო სექტორის კრიზის ძალიან ბევრი იპიქტური და სუბიექტური მიზეზი ჰქონდა. 2007—2008 წლებში სამშენებლო მასალის ფასი ისეთი სისწავით იზრდებოდა, რომ ხშირად მშენებლობის რეალური ღირებულების გათვალ შეუძლებელი იყო, რის გამოც ზოგჯერ განეულ ხარჯსაც ძლიერ ვფარავდით. სხვა მიზეზებიც არსებობდა. თუმცა მთავარი პრობლემა იყო პროფესიონალიზმის ის უზარმაზარი დეფიციტი, რამაც სამშენებლო ბიზნესში იჩინა თავი. ბაზარზე იყვნენ ისეთი კომპანიები, რომლებსაც ამ სფეროში არანაირი გამოცდილება არ

ჰქონდათ. უძრავი ქონების ბაზარზე კრიზისის შექმნაში თანაბრად არის დამნაშავე ორივე მხარე: სამშენებლო კომპანიებიც და საბანკო სექტორიც. რისკები სათანადოდ ვერც დეველოპერებმა გათვალის და ვერც ბანკებმა“.

სამშენებლო ბიზნესი ისევ გაჩერებულია. „მენაშენეთა ასოციაციის“ ინფორმაციით, გაჭიანურებული მშენებლობის დასრულებას 15 000 ოჯახი ელოდება. შეთანხმებით გათვალისწინებული თანხები მათ სრულად, ან ნაწილობრივ უკვე დაფარული აქვთ. მაგრამ მიტოვებული სამშენებლო ხარაჩოები და ნაგვით ამოვსებული საძირკვლები მშენებლობის უახლოეს მომავალში განახლების იმედს ნამდვილად არ იძლევა.

თბილისში, სადაც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ძალიან ბევრ ოჯახს სურს, „კარგ“ ბინებზე მოთხოვნა ისევ არსებობს. მაგრამ, მყიდველი „ჰაერისა“ და დაპირების მაგივრად, უკვე აშენებულ სახლში, საცხოვრებელ კონდიციამდე მიყვანილ ბინას ითხოვს. ამ მოთხოვნას კი ქართული სამშენებლო სექტო-

რი სათანადო მინიდებით ვერ პასუხობს. მიზეზი ფულია, უფრო სწორად კი – უფულობა.

გახანგრძლივებულ სამშენებლო კრიზისში დეველოპერები საბანკო სექტორს ადანაშაულებენ. „არქი ჯგუფის“, „არსის“ და „აქსისის“ ხელმძღვანელი პირები ერთხმად აცხადებენ, რომ ბანკები სამშენებლო პროექტებს აღარ აფინანსებენ და აღარც მშენებარე ბინებზე გასცემები იპოთეკურ სესხებს.

„საკრედიტო ბუმის დროს ბანკები თითქმის ყველა სამშენებლო კომპანიას, მათ შორის ბევრ არაკომპეტენტურ დეველოპერს აძლევდნენ კრედიტს. ახლა საპირისპირო პრობლემაა. ბანკებმა ყველა დეველოპერი – კეთილსინდისიერიც და არაკომპეტენტურიც ერთ ქვაბში ჩაყარეს და სესხს არავის აღარ აძლევენ, საკუთარი შვილობილი კომპანიების გარდა. კრედიტების გაცემის პროცესში ბანკებმა კარგად შეისწავლეს სამშენებლო ბიზნესი და მისი „ნოუ ჰაუ“. ნახეს, რომ მომგებიანი ბიზნესი იყო და დეველოპერული საქმიანობაც შეითავსეს – ამ მიზნით საკუთარი კომპანიები შექმნეს. ცხადია, რომ ისინი კონკურენტებს აღარ დააფინანსებენ,“ – აცხადებს აბულაძე და დასძენს, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ბანკს დეველოპერული საქმიანობისა და ზოგადად, არაპროფილურ ბიზნესში შესვლის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

დეველოპერებსა და ბანკებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებზე საყიდოს „მენაშენეთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ირაკლი როსტომაშვილიც. როსტომაშვილი აცხადებს, რომ 2012 წელს „მენაშენეთა ასოციაციის“ არც ერთ წევრ კომპანიას კომერციულმა ბანკებმა კრედიტი არ მისცა.

სხვადასხვა პროფილის ბიზნესი თითქმის ყველა ქართულ ბანკს აქვს. თუმცა, დამტუმნებელთა საერთო ჯგუფი მხოლოდ ორი კომერციულ ბანკს და ორ სამშენებლო კომპანიას ჰყავს. ბანკი „რესპუბლიკას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ლაშა პაპაშვილი - ამავე დროს სამშენებლო კომპანია „რედიქსის“ გენერალურ დირექტორია, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრი – მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე კი სამშენებლო კომპანია „ლისი დეველოპმენტის“ დამფუძნებლები არიან. თუმცა არც ერთ ამ შემთხვევაში სამშენებლო კომპანიები ბანკების შვილობილი კომპანიები არ არიან.

შვილობილ სამშენებლო კომპანიას მხოლოდ „საქართველოს ბანკი“ ფლობს. „საქართველოს

ბანკს“ ეკუთვნის „სპ უძრავი ქონების“ 100%-იანი წილი. თავის მხრივ, „სპ უძრავი ქონება“ კი შპს „თამარაშვილის 13“-ის, ანუ იგივე „გამოდრომის“ 100%-იანი წილის მფლობელია.

ბრალდებას, რომ შვილობილი სამშენებლო კომპანიის კონკურენტ დეველოპერებს კრედიტის შეგნებულად აღარ აძლევენ, „საქართველოს ბანკი“ არ ეთანხმება. „ჩვენ გასულ წლებშიც გავცემდით და კვლავაც გავცემთ სესხს სამშენებლო სექტორზე. მხოლოდ 2012 წელს, „საქართველოს ბანკმა“ 20 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გასცა სამშენებლო სექტორზე. „საქართველოს ბანკის“ სესხით დაფინანსდა სამშენებლო კომპანია „ტეტრისი“. მან მილიონ ლარზე მეტი თანხა მიიღო. სამშენებლო კომპანიები შპს „გდგ“ და შპს „გიგსი“ კი ჯამში 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხით დაფინანსდნენ“, – აცხადებს „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოფერ ბალავაძე.

„საქართველოს ბანკში“ ამბობენ, რომ იმისთვის, რათა მენაშენებ მათი ბანკიდან დაფინანსება მიიღოს, ის კონკრეტულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: „სამშენებლო კომპანიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი კაპიტალი. მინა, სადაც ინყებს მშენებლობას მას უნდა ეკუთვნოდეს. ასევე, მშენებლობის თვითორებულების 30-40%-ს თავად მენაშენე უნდა აბანდებდეს მშენებლობაში“, – ამბობს ბალავაძე. გარდა ამისა, ბანკის მხრიდან დაფინანსების მოსაპოვებლად დეველოპერმა უნდა ნარაღინოს კომერციულად მომგებანი პროექტი, რომელსაც ძლიერი მენეჯერი ეყოლება, კარგი საკრედიტო ისტორიით და მყიდველის თვალში ნდობის მაღალი რეიტინგით. „საქართველოს ბანკში“ განმარტავენ, რომ ბაზარზე დღეს მოქმედი დეველოპერული კომპანიების დიდი ნაწილი ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს.

„ბანკები დეველოპერულ კომპანიებს ცოტა სკეპტიკურად ვუუსრუბთ, რადგან ვერ ვხედავთ საკმარის კაპიტალიზაციას იმისათვის, რომ ეს მიმართულება დაფინანსდეს. გარდა ამისა, ბაზარიც არ არის გამართული ისე, როგორიც უნდა იყოს,“ – ასე ასენა სამშენებლო კომპანიების დაკრედიტების შემცირების მიზეზი „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ.

დეველოპერულ პროექტებს საქართველოში ძირითადად სამი ბანკი: „თიბისი ბანკი“, „სა-

- თბილისში 130 საცხოვრებელი სახლის მშენებლობაა შეჩერებული. გაკოტრების ზედმეტად როგორი პროცედურების გამო დეველოპერული კომპანიების დიდი ნაწილი მხოლოდ ქალადზე არსებობს: თუ 2008 წლის აგვისტოს ომამდე „უძრავი ქონების ბაზარზე 45 სამშენებლო კომპანია მუშაობდა, ამჟამად საქმიანობას მხოლოდ ხუთი მათგანი აგრძელებს.

# თამაშის მდგრადი ადამიანები მდგრადი

internet  
banking



mobile  
banking



ბაზარის ფრანკისი

“**ყოველი დაზოგილი პენი  
ნაშოვნის ტოლფასია**

გადაიხადეთ კომუნალური  
გადასახადები მობაილ ან  
ინტერნეტ ბანკით,  
დაზოგეთ ფული.

ქართველოს ბანკი“ და „ქართუ ბანკი“ აფინანსებდა. მას შემდეგ, რაც „ქართუ ბანკს“ ხელოვნური ბარიერები შეუქმნეს, სამშენებლო ბიზნესს მისგან კრედიტი აღარ მიუღია. „თიბისი ბანკის“ და „საქართველოს ბანკის“ მხრიდან დაკრედიტების მკვეთრი შემცირების შემდეგ დეველოპერები ისევ ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ.

დეველოპერები მიიჩნევენ, რომ თუ ბანკებს არაპროფილური საქმიანობის უფლებას ჩამოართმევენ, ეს ბიზნესს განვითარების ძლიერ სტიმულს მისცემს. მენაშენეთა მოსაზრებას იზიარებს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძეც. ტყემალაძე აცხადებს, რომ ბანკების მხრიდან საკუთარ სამშენებლო კომპანიებზე კრედიტების გაცემა მენარმეებს არათანაბარ პირობებში აყენებს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბანკებისთვის დეველოპერული საქმიანობის აკრძალვას ანტიმონპოლიური კანონმდებლობა დაარევულირებს.

„ეს გამოსავალი არ არის. ეს უფრო რეალობიდან გაქცევას ჰგავს“, – ამბობს ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე, – „დეველოპერული კომპანიების კრიზისი მათთა არასწორი მენეჯმენტითაა გამოწვეული. სამშენებლო კომპანიების პრობლემები გაჩნდა მას შემდეგ, რაც მათ პირამიდის სქემით მუშაობა და პარტნიორის გაყიდვა დაწყებს. სჯობს, მათ რეალობას თვალებში შეხდონ. თუ ბანკებს დეველოპერულ ბიზნესში შესვლას ავუკრძალავთ, იგივე ლოგიკით სხვა პროფილის ბიზნესებში შესვლაც უნდა ავუკრძალოთ. არ შეიძლება ბიზნესს ასეთი შეზღუდვა დაუწესო.“

ბინათმშენებლობის სექტორში ბოლო წლებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგრამარების გამოსწორების მიზნით „მენაშენეთა ასოციაციამ“ კიდევ ერთი ინიციატივა წარმოაყნა. პარლამენტისთვის წარდგენილი ახალი საკანონმდებლო წინადადების თანახმად, სამშენებლო კომპანიებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით შექმნილი ამხანაგობების მიმართ დავების განხილვა, შესაძლოა, 2015 წლის 1 იანვრამდე შეაჩერონ. „მენაშენეთა ასოციაციას“ მიაჩნია, რომ შექმნილ მდგრამარებაში კომპანიებმა შესაძლოა, ველარ შეძლონ მშენებლობების წარმოება და გაკოტრდნენ, რაც გამოისწორებელ ზიანს მიაყენებს 15 ათას ოჯახს, რომ-

ლებიც გაჭიანურებული მშენებლობების დასრულებას წლების განმავლობაში ელოდებიან. „ცვლილების თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 451-ე მუხლი ემატება. ინიციატივთა აზრით „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ასახული ცვლილება სამშენებლო კომპანიებისა და ამხანაგობების პრობლემებს დაარეგულირებს.

„ასეთი ინიციატივის დაკანონება ჩვენს კონსტიტუციურ უფლებას ლახავს,“ – ამბობს თემურ ფიფაია. ის „ცენტრ პონტის“ მიერ დაზარალებული მომხმარებელია. ფიფამ სააკაძის მოედანზე მშენებარე სახლში, თაბუკაშვილის N88-ში ბინის ასაშენებლად თანხა 2008 წელს შეიტანა. ბინის საფასური 27 000 \$ 2008 წელს სრულად დაფარა. მაგრამ, ბინა, რომელიც 2010 წელს უნდა ჩაბარებოდა, დღემდე არ მიუღია. ახლა ის „ცენტრპონტისგან“ თანხის უკან დაბრუნებას ითხოვს. „ის ფაქტი რომ, დეველოპერები კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თავიანთი არასწორი მენეჯმენტის შედეგია. დეველოპერებს სურთ, რომ კრიზისიდან ისევ დაზარალებული მომხმარებლების ხარჯზე გამოვიდნენ. ჩვენთან გაფორმებულ კონტრაქტებში მათ ისედაც მოხსნილი აქვთ პასუხისმგებლობა ყველა ფაქტიურ ვალდებულებაზე. ამ პირობებში მენაშენებს ერთი გზა გვრჩება მხოლოდ – სასამართლო. თუ საკანონმდებლო ორგანო მხარს დაუჭირს ამ ინიციატივას და დააკანონებს, ამ შემთხვევაში დაზარალებულ მენაშენებს, აღსრულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, კუბლაშვილის სასამართლოს ტენდენციური განჩინებებიც კი სანატრელი გავიხდება.“

წინა ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ბიზნესმენებმა წაგვართვეს ქონება და გაგვირეს ქუჩაში ცხოვრებისთვის. ახლა ისინი სამართლებრივი პროტესტის უფლებასაც გვართმევენ. ეს არ არის ჩვენი კონსტიტუციური უფლების შელახვა?“ – კითხულობს ფიფაია.

სამშენებლო კომპანიების მიმართ სასამართლო დავების განხილვის 2015 წლის 1 იანვრამდე გადავადების ინიციატივას უარყოფითად შეხვდნენ იუსტიციის და ეკონომიკის სამინისტროებში. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ვახტან ხმალაძე ამბობს, რომ პრობლემა არსებობს, რაზეც ყველა თანხმდება და ამიტომ ოპტიმალური გადაწყვეტილებაც უნდა მოიძებნოს. ❶

■ „ბანკები დეველოპერულ კომპანიებს ცოტა სკაპტი-კურად კუუკრებით, რადგან ვერ ვხდავთ საკარის კაპიტალიზაციას იმის-თვის, რომ ეს მიმართულება დაფინანსდეს. გარდა ამისა, ბაზარიც არ არის ისე გამართული, როგორიც უნდა იყოს,“ – ასე ასენა სამშენებლო კომპანიებზე კრედიტების გაცემის შემცირების მიზნზე „თბილის ბანკის“ სამეთალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ.

## „მინდა ვიყო ქველმოქმედი და მზრუნველობამოქლებულ ბავშვებს დავშეხებს დავშემართ...“

მარიამ მარიამიძე ფონდი „ნათახთარის“ მხარდაჭერით სასწავლო ცენტრი „ნათალის“ კურსდამთავრებული გახდა



**მარიამ მჭედლიძე**

კომპანია „ნატახტარის“ 2011 წლის ნოემბერში „ფონდი ნატახტარი“ დაფუძნდა და საქველმოქმედო პროექტის „იზტურ მომავალებების“ განხორციელება დაწყო. ფონდის მიზანია მზრუნველობამოქლებული ახალგაზრდების დამიუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში ხელშეწყობა. პროექტი ხორციელდება ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქეს თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.

ფსიქოლოგების მუშაობის შედევად გამოიკვეთა 16-18 წლის მოზარდების ჯვაფი და სწორედ მის წევრების გადასწილება ფონდის თანხის უფიდესი ნაწილი. ფსიქოლოგების დახმარებით თითოეული ბენეფიციარისთვის განსახლებულია ის მიმართულებები, რომელიც მათთვის საინტერესო იყო - სასკოლო საგნებში მომზადება, სწავლა კოლეჯებსა და პროფესიული სასწავლებლებში, მართვის მოწოდების ასაღებად მოსამზადებელი კურსები, კომპიუტერის შესწავლული კურსები და მრავალი სხვა. ფონდის ბიუჯეტიდან ფონანსდებოდა მოზარდების ტრანსპორტირებაც.

2012 წლის ბოლოსთვის რამდენიმე მოზარდება პროექტის დახმარებით შეძლო სრულფასოვანი, დამიუკიდებელი ცხოვრების დაწყება.

ჩვენი სტუმარია პროექტის ბენეფიციარი მარიამ მჭედლიძე (ქ. საშურიძენ), რომელიც კომპანია „ნატახტარის“ დახმარებით პროფესიას დაუუფლა და სამომავლო გეგმებიც საკუთარ სერიოზული აქცეს.

„მართალი, რომ გითხრათ ბავშვობაში არასდროს მიოცნებია, რომ როდისმე ცნობილი და პოსულარული ადამიანი გავმხდარიყვი. უფრო „პრაქტიკული“ პროფესიები მიტაცებდა. მაგალითად დაწყებით კლასებში ძალიან მინდოდა ექიმობა. მაგრამ ერთადერთი სფერო, რომელიც ყოველთვის მანიტერესებადა არის სამოდელო სამყარო. მომწონდა დახვეწილი და ლამაზი გოგონები, მათი სამოსი და გარეგნობა. მინდოდა მეც მეტრუნა მათ გარეგნობაზე, მონაწილეობა მიმელო, „გალამაზების“ პროცესში. ამ ოცნების რეალიზებას ბავშვობაში თოვინების გალამაზებით ვახერხებდი. ხშირად ახალ ტანსაცმელს ვუკერავდი, ვარცხნილობას ვუცვლიდი და მაკიაჟსაც კი ვჟეკოთებდი. „ფონდი ნატახტარის“ მხარდაჭერით ოცნება ჰქერ მიზნად და შემდეგ, რეალობად მექცა. სასწავლო ცნობების „ნატალი“ კოსმეტიკოლოგიურზე ვსწავლობდი, ეს იყო ორთვიანი სასწავლო კურსი და აღნიშნულ სფეროში საკუთარ დიდი გამოცდილება მივიღე. ამ ხნის განმავლობაში თბილისში ვცხოვრობდი. სწავლის საფასურთან ერთად, „ფონდმა ნატახტარმა“ ბინითაც უზრუნველყოფი. დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, ადგილად შევძლებ სამსახურის პოვნას და ბავშვობის მეორე ოცნების ასრულებას - ძალიან მინდა ფქიოლოგიურზე ჩავაბარო.“ - გვიამობს მარიამი და ხაშურის მცირე საოჯახი ტიპის ბავშთა სახლში გატარებულ დღეებს იხსენებს.

მარიამი ამ ცეკვაფერს ოცნებად მაინც არ თვლის, მისთვის ეს ცეკვაფერი მიზნებია, და არა ოცნებები.

„მიზანდასაული ვარ და თუ რამეს ძალიან მივინდომებ, ყოველთვის ვაღწევ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღესაც ჩემთვის საყვარელი ადამიანები ჩემით იამაყებებ.“

ბავშთა სახლში გატარებულ დღეებს მარიამი დიდი სიყვარულით იხსენებს. „ბავშთა სახლში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ზოგი იქ დარჩა, ზოგიც ჩემთან ერთად საკუთარ სახლებს დაუბრუნდა. მათთან ურთიერთობა დღემდე მაქვს. ამჯერად

ვცხოვრობ გორში ძმებთან ერთად. ძალიან მინდა ქველმოქმედი გახდებების დაგეხმარო. ამით მიღებულ სიამოვნებას არაფერი შეედრება.“

მარიამი თავისუფალ დროს მეგობრებთან ატარებს. უყვარს კითვა, განსაკუთრებით პოეზია. თავადაც წერს, თუმცა თავის ნამუშევრების ჩვენთვის გაბიარება არ ისურვა: „ეს მხოლოდ ჩემთვის, თანაც როცა მარტო ვარ და როცა რაღაცის თქმა მსურს, და ვერავის ვუმხელ, აღაბათ ეს ღირებული მხოლოდ ჩემთვისაა!“

„მარი დაბნეული იყო, თუმცა ზუსტად იცოდა რა უნდოდა. აკვარებული ჰქონდა კოსმეტოლოგია. ჩვენც ხელი შევუწყეთ და შარშან მივამაგრეთ ერთ-ერთ სილამაზის სალონს, სადაც მუშაობდა დახმარებული აკვირდებოდა პროცესებს, პრიორების ფარგლებში კი სტიპენდიის სახით ერიცხებოდა 100 ლარი. მოვანებით სწავლა დაიწყო სასწავლო ცენტრში „ნატალი“. მიღლო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატიც. პროექტის ფარგლებში ის მიღებს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო აპარატურასდა ამის შემდეგ მას შეეძლება იმუშაოს ნებისმიერ სიამაზის სალონში, - ვეუბნება ფსიქოლოგი გვანცა მეტივიშვილი.



**გვანცა მეტივიშვილი**

„პროექტის ფარგლებში მას ამ ეტაპზე ყოველთვიურად 500 ლარი ერიცხება ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქნელად. ცხოვრიობს დეიდასთან ერთად. ფონდმა „ასვანანამ“ მათ გადასცა ბინა, რომელიც მოსაწესრიცხვებელია, ნატახტარის ფონდის მხარდაჭერით მათ მაღლე საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდებათ. პროექტი მართლაც უნიკალურია, მზრუნველობამოქლებულ ბავშების იმედი მიეცათ. უნდა ნახოთ როგორ ელოდებით 14-15 წლის ბავშები, როდის ჩაერთვებიან ამ პროექტში (ანუ, როდის გახდებიან 16-17 წლისანი). ეს ერთგანი სტიმულია. იმედი მიეცათ მოზარდებს.“

## განათლების ხასისი თუ პოლიტიკა?

11 მარტს განათლების ხარისხის მართვის ცენტრის ავტორიზაციის საბჭომ აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია გაუუქმა. გადაწყვეტილების მიზეზი ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა გახდა. დარღვევებს უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ავტორიზაციის საბჭოს წევრები განსხვავებულად აფასებენ. ავტორიზაციის საბჭოს ხელმძღვანელის აზრით, უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი დარღვევები აქვს. აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ აღმოჩენილი დარღვევები ტექნიკური ხასიათისაა და ისინი ავტორიზაციის გაუქმებას საფუძვლად არ უნდა დასდებოდა.

### ლიკა ზაკაშვილი

ამ დღეებში აგრარული უნივერსიტეტის თემაზე ათობით კომენტარი გაკეთდა, მათ შორის, განათლების მინისტრმა, გორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ხარვეზები, რომელსაც სტუდენტები ტექნიკურს უწოდებენ, ტექნიკური არ არის და საბჭო, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, წინა ხელისუფლების დროს არის ფორმირებული. თუმცა, რადგან ჯერ-ჯერობით საბჭოს დასაბუთებული წერილობითი ფორმით გადაწყვეტილება არ გამოუქვეყნდება. ეთხვები – რადგენად არსებითი იყო დასკვნაში წარმოდგენილი ხარვეზები, უნდა შეეჩერებინა თუ არა საბჭოს უნივერსიტეტისთვის ავტორიზაცია და ხომ არ არის აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებული – ღიად რჩება.

განცხადება გამოიქვეყნა „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველომაც,“ რომელიც საბჭოს მოუწოდებს მაქსიმალურად უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობა, რათა მათი გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, სტუდენტებმა და საზოგადოებამ პოლიტიკურად მოტივირებულად არ აღიძებან.

აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმება მოულოდნელი სწორედ იმიტომ იყო, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის წარმატებაზე მხოლოდ სტუდენტები, ან უნივერსიტეტის რექტორები არ საუბრობდნენ. „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ განცხადების მიხედვით, „აგრარულ უნივერსიტეტში ბოლო რამდენიმე

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რის შედეგადაც გაიზარდა უნივერსიტეტის პოპულარობა: 2012 წელს მიღებულ სტუდენტთა ეროვნული გამოცდების ქულების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით უნივერსიტეტი ქვეყნის წამყვანი სასწავლო დაწესებულებების პირველ ათეულში მოხვდა.“

ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება ძალაში ითხ თვეში შევა. სემესტრის დასრულებამდე სტუდენტებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების საშუალება, უნივერსიტეტის კი – ხარვეზების გამოსწორების შანსი ეძლევა. ავტორიზაციის საბჭოს საბოლოო დასკვნის შემდგა, უნივერსიტეტის წარმომადგენლები სასამართლოში საჩივარს შეიტანენ.

უნივერსიტეტის ოურისტის განცხადებით, წერილობით დასკვნაში მნიშვნელოვანი სწორედ ის ნაწილია, სადაც საბჭომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ იყო ხარვეზები არსებითი და რატომ იყო ეს გამოსავალი საუკეთესო სტუდენტებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის საბჭოს დასკვნა ჯერ არ გამოქვეყნებულა, განხილვის მონაწილე პირებს ის 12 მარტს დაურიგდათ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფი შესამონმებლად წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მაკა კორძაძის ბრძანების საფუძველზე შევიდა. უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქ-



მით, მონიტორინგის ჯგუფი ცალკე ითახში “ჩაიკეტა” და უნივერსიტეტის თანამშრომლებისგან ახსნა-განმარტებები არ მოუთხოვა, – ითხოვდა მხოლოდ დოკუმენტების “შეწოდებას”.

ხარისხის მართვის ცენტრის ყოფილი დირექტორის, მაკა კორძაძის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფს უმაღლეს სასწავლებელში შესვლა გაფრთხილების გარეშეც შეუძლია. „საჩივარი 17 დეკემბერს შემოვიდა, იქ პირდაპირ ეწერა, რომ ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტები ირღვეა. უნივერსიტეტში შესვლის მიზეზი სწორედ ეს იყო,“ – ამბობს კორძაძე, რომელიც დირექტორის თანამდებობაზე დეკანში დაინიშნა და 2013 წლის 6 იანვარს მინისტრის პრძნებით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

ავტორიზაციის საბჭომ გადაწყვეტილება 12 მარტს გამოიტანა. სხდომა 10 საათს გაგრძელდა. ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება საბჭომ დილის 5 საათზე მიიღო. ავტორიზაციის გაუქმებას მხარი საბჭოს ოთხმა წევრმა დაუჭირა, ნინაალმდევი მხოლოდ ერთი წევრი – იოსებ სალუქვაძე იყო. სალუქვაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორია.

„მე დავთანხმე, რომ დარღვევები იყო, მაგრამ ამ დარღვევების პირობებშიც კი ჩატვალე, რომ სტუდენტების ბედი დარღვევებზე მაღლა იდგა. გადაწყვეტილება მხოლოდ სტანდარტებთან შესაბამისობის მიხედვით არ გამომიტანია. ეს არის სპეციფიკური უნივერსიტეტი და არსებობენ სტუდენტები, რომელთაც სწავლის გაგრძელება სხვა შესაბამის სპეციალობებზე საქართველოს პირობებში საქმაოდ გართულდება. ეს მარტი სტუდენტებს არ ეხებათ, ეს ეხებათ პროფესორ-მასწავლებლებსაც,“ – აღნიშნა იოსებ სალუქვაძე „ლიბერალთა“ საუბრისას.

ავტორიზაციის საბჭოს ხელმძღვანელის, კახი

ყურაშვილის აზრით, ხარვეზები არსებითად მინიშვნელოვანია. ამის შესახებ განცხადება საბჭოს თავიდომარები დღეს ხარისხის მართვის ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე გააცემა, სადაც უურნალისტებს მისთვის კითხვის დასმის საშუალება არ მისცემით.

„მთელი რიგი ხარვეზები გამოსწორდა, თუმცა სამწესაროდ დარჩა რამდენიმე არსებითი ხარვეზი, რომელსაც საბჭო გვერდს ვერ აუვლის. უნივერსიტეტის მიერ რამდენიმე შემთხვევაში გაცემული იყო ბაკალავრის დიპლომი ისე, რომ სტუდენტს არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული 240 სასწავლო კრედიტი. მთელი რიგი დარღვევები იყო აკადემიური პერსონალის სტანდარტთან დაკავშირებით, აგრარულ უნივერსიტეტს რამდენიმე პროგრამა აქვს, რომელსაც ახორციელებს მხოლოდ მოწვევული პროფესიონების ხარჯზე და სრული და ასოცირებული პროფესიონები არ ჰყავს. თქვენ იცით, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს და კონკურსის საფუძველზე. ასეთი რამდენიმე კონკურსი კანონმდებლობის დარღვევით არის ჩატარებული. რაც ეჭვეშ აყნებდა ამ აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე ყოფინის კანონიერებას.“ – აღნიშნა კახი ყურაშვილმა.

რა ცირის მონიტორინგის ჯგუფის

დასპენსი?

როგორც ზევით აღნიშნეთ, მონიტორინგის საბჭომ აგრარულ უნივერსიტეტში აღმოჩენილ დარღვევებზე ორ დასკვნა მოამზადა. დასკვნა საქმიან ვრცელია და ბევრ სხვადასხვა დეტალს მოიცავს. თუმცა ყურადღებას იმ ხარვეზებზე გავამხვიდეთ, რომელიც ავტორიზაციის საბჭომ უნივერსიტეტს მნიშვნელოვან დარღვევად ჩაუთვალის.

■ 11 მარტს განათლების ხარისხის მართვის ცენტრის ავტორიზაციის საბჭომ აგრარულ უნივერსიტეტს აკტორიზაცია გაუუქმა. გადაწყვეტილების მიზეზი ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევებს უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ავტორიზაციის საბჭოს წევრები განსხვავებულად აფასებენ. ავტორიზაციის საბჭოს ხელმძღვანელის აზრით, უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი დარღვევები აქვთ. აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ აღმოჩენილი დარღვევები ტექნიკური ხისაითისაა და ისინი ავტორიზაციის გაუქმებას საფუძვლად არ უნდა დასდებოდა.

შუალედურ დასკვნაში წერია – მოქმედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მფლობელობაში არ-სებულ ბიბლიოთეკაში 1 700 000 წიგნია აღრიცხული, ის მაინც ვერ აკამაყოფილებს სტუდენტებს ადეკვატური საგანამანთლებლო რესურსით, რადგან ბიბლიოთეკაში სილბუსებში მითითეთბული საგალდებულო ლიტერატურა არ აღმოჩნდა.

მონიტორინგის ჯგუფის დასკრინი, ამ პირობის შეუსრულებლობა ავტორიზაციის სტანდარტს არღვევს. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ამ შენიშვნას აბსურდულს უწოდებენ და ამბობენ, რომ საბჭო მათ ათი წიგნის არქონას ედავება და ეს მიზეზი ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო, თუმცა საგალდებულო ლიტერატურის არქონა ერთადერთ მიზეზი არ არის და მონიტორინგის საბჭოს დასკვნა უნივერსიტეტში არსებულ სხვა დარღვევების დამატებით.

მაგალითად, დასკვნის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ფიზიკური ინფრასტრუქტურაზე, წერია, რომ აუდიტორიები, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, სპორტული დარბაზები, სააქტო დარბაზი (კულტურის სახლი), აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, შეხვედრის ითხოვები, ადმინისტრაციის კაბინეტები და დამხმარე ფართი არაა უნივერსიტეტის მფლობელობაში, რადგან ხელშეკრულებას, რომელიც უნივერსიტეტს “აგრომეტიან” 2012 წლის 02 აპრილს აქვს გაფორმებული, ვადა 2012 წლის 31 დეკემბერს ამონენურა. თუმცა, უნივერსიტეტის იურისტი ლალი ბეგაშვილი ამბობს, რომ “აგრომეტიან” დადებული ხელშეკრულების მიხედვით, თუ მხარეები არ შეწყვეტენ ხელშეკრულებას, ის ავტომატურად გრძელდება. ლალი ბეგაშვილი ეჭვიბს, რომ მონიტორინგს ან გამორჩა ხელშეკრულების ეს პუნქტი, ან განზრას არ გაითვალისწინა.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის მიხედვით, „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ სტუდენტების სტატუსის მოპოვების, მისი მობილობის, სტატუსის შეწყვეტის რეგულირების ნაწილებში საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამია. ეს წესი დაწესებულების აკადემიური საქმიანობის ძირითად ნაწილს არეგულირებს. 11 მარტს გამართულ სხდომაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეუსაბამობები გამოსწორებულია და ამის დასამტკიცებლად საბჭოს თავჯდომარეს – კახი ყურაშვილს – უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდზე „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარე-

გულირებელი წესის“ ნახვა მოსთხოვეს. ამოჩნდა, რომ უნივერსიტეტის წესში ცვლილებები შეტანილი ჰქონდა. თუმცა სამბჭომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს აღნიშნული გარემოება არ გაითვალისწინა.

როგორც კახი ყურაშვილმა აღნიშნა, უნივერსიტეტის მიერ რამდენიმე შემთხვევაში გაცემული იყო ბაკალავრის დიპლომი ისე, რომ სტუდენტს არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული 240 სასწავლო კრედიტი. დასკვნაში საუბარია რ სტუდენტზე, რომელიც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით ბიზნესის მართვის სპეციალის მეოთხე კურსზე ჩარიცხა.

სტუდენტებმა 4 სემესტრი სომხეთის აგრარულ უნივერსიტეტში გაიარეს. ამის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში და 2012 წლის 27 აგვისტოს რექტორის ბრძანებით “ბიზნესის და მართვის” სპეციალის კურსდამთავრებულების ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭათ.

აღმოჩნდა, რომ ამ ორ სტუდენტს სომხეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე არ მოუმართავთ ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრისთვის. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდეგ, მარიამ ჭყონიამ და დავით გოგილაშვილმა სომხეთის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში მიღებული განათლების აღიარების თაობზე ცენტრში განცხადი 2013 წლის 8 და 12 თებერვალს შეტანეს და მოხდა მათი განათლების აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ შეცდომა გამოხსოვდა, მონიტორინგის ჯგუფმა ჩათვალა, რომ დაირღვა “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონი.

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს საგანამანათებლო პროგრამების განსახორციელებლად საკმარისი რაოდენობის აკადემიური პერსონალი არ ჰყავს და რამდენიმე ფაკულტეტზე საგანამანათლებლო პროგრამას მხოლოდ მოწვეული ლექტორების ხარჯზე ახორციელებს. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როცა პირებმა აკადემიური თანამდებობები კონკურსის გარეშე დაიკავეს.

შუალედურ დასკვნაში წერია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე საგანამანათლებლო პროგრამებს 9 აკადემიური პირი და 40 მოწვეული პერსონალი ახორციელებს.

აკადემიურ პირებს, მონიტორინგის დასკვნის მიხედვით, ხელშეკრულებების ვადები ამოზურული აქვს. მონიტორინგის ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტიმა ყველა პირს გაუგრძელა ხელშეკრულება. თუმცა, ვადაგასული ხელშეკრულებები ერთადერთი დარღვეა არ იყო და დასკვნის მიხედვით

ფაულტეტზე მომუშავე აკადემიური პერსონალის ნაწილი კანონით დადგინდი კვალიფიკაციის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

მონიტორინგის გადაწყვეტილებით, 7 აკადემიური პერსონალიდან ორ პირს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა კანონის დარღვევით აქვს დაკავშირდული – ისინი არ არიან დოქტორანდები, ან დოქტორები. ერთ პირს საბჭოს დასკვნის მიხედვით, არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია. ის ასწავლის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე და აქვს ფიზიკის დიპლომი.

სამი პირი არ ჩაითვალა აკადემიურ პერსონალად, რადგან მათი დანიშნის შესახებ გაფორმებული ბრძანების მოუხედავად დანესტყბულების რეესტრში ამ პირების შესახებ ინგორმაცია არ იძებნება, რაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა.

კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას მხოლოდ პროფესორი მარინე ლუარსებიშვილი აკმაყოფილებს.

შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნით, საგანამინთლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ ამასთან არ დასტურდება, რომ ეს პირები აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის საფუძვლზე არიან შერჩეულები.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაც მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ ხორციელდება. უნივერსიტეტის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა ხორციელდება „მიღევად“ რეჟიმში და ამიტომ არ ჰყავთ სრული და ასოცირებული პროფესორები, თუმცა, უნივერსიტეტის გაითვალისწინა მონიტორინგის რეკომენდაცია და 7 თებერვალს გამოაცხადა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. რადგან 2013 წლის 14 მარტამდე კონკურსის შედეგები ცნობილი არ იყო, ჩათვალა, რომ შემოწმების პერიოდში პროგრამა აკადემიური პერსონალის გარეშე ხორციელდებოდა. ასეთივე ტიპის ხარვეზები დაფიქსირდა დანარჩენ 5 ფაკულტეტზეც.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას აფასებს დარგის სპეციალისტებიც. ავტორიზაციის საბჭოს ყოფილი თავიდომარის ლიკა ლილნტის აზრით, განათლების ხარისხის შემოწმების სისტემა მანკიერია და ის პროცესის ნაცვლად ქაღალდებს.

„ეს პოლიტიკურად ანგაურიებული გადაწყვეტილებაა. სისტემა ისეა აწყობილი, რომ ჩვენ ვამოწმებთ ქაღალდებს და არა პროცესებს. ასე რომ, მოდავება ყველაფერზე შეიძლება. კრი-



სტუდენტების საპროტესტო აქცია განათლების სამინისტროსთან, 13 მარტი 2013

ფოტო: გ. გაგარინი

ტერიტორიაზე ბი ხარისხსას არ ასახავს. დროა ასეთი სახის კრიტერიუმებით შეფასებას შევეშავთ, მართლა ხარისხის შეფასებაზე გადავიდეთ და მოვახდინოთ პროცესის ინტერნაციონალიზაცია. ჩვენ ვამოწმებთ ფურცლებს, საბუთებს და არა პროცესს და სწავლის შედეგებს. დამერწმუნეთ, რომ ასეთივე დეტალური შემოწმება სხვაგანაც, რომ ჩატარდეს ვერც ერთი უნივერსიტეტი ვერ გადარჩება. ჩვენი თავიდომარების დროს იყო ასეთი შემთხვევა, როცა აკრედიტაცია არ გაეცით იმიტომ, რომ ბრძანებების წიგნი არ იყო განასკვული. ეს არის აპსურდული სიტუაცია, რადგან კრიტერიუმები იძლევა ამის საშუალებას.“ – ამბობს ლიკა ლილნტი.

ხარისხის მართვის ცენტრის ყოფილი დირექტორის მაკა კოძაძის შეფასებით, მთელი ეს პროცესი არაგაზომვად კრიტერიუმებზე დაფუძნებული. ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრი თავისებურად აკეთებს ინტერესატაციას და ასეთ დროს მანიპულირება თავისუფლად შესაძლებლია.

„ეს სისტემა იმდენად გაუმჯორვალე და დასჯაზე ორიენტირებულია, რომ თუ მონიძღოებს ყველას გამოიყერენ. სისტემა იძლევა ამის საშუალებას, ამიტომ ყველას შეუძლია ამით ბოროტად სარგებლობა. ვერავინ იტყვის, რომ ამ სისტემით შესაძლებელია სამართლიანობის მიღწევა.“ – ამბობს მაკა კოძაძე.

ხარვეზების არსებობას ადასტურებენ, როგორც უნივერსიტეტის ნარმომადგენლები, ასევე დარგის სპეციალისტები, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ეს ხარვეზები განათლების ხარისზე გავლენას არ ახდენს და შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, დაუსაბუთებელი და უსამართლოა. □

■ დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს საგანამანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საკმარისი რაოდენობის აკადემიური პერსონალი არ ჰყავს და რამდენიმე ფაკულტეტზე საგანამანათლებლო პროგრამას მხოლოდ მოწვეული ლურჯობის სარჯაზე ახორციელებს. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როცა პირებმა აკადემიური თანამდებობები კონკურსის გარეშე დაიკავეს.



ფოტო: ვაჟა გარეჯია / საქართველოს მდგრადი მეცნიერებების აკადემია

პოლიციამ დემონსტრაციების დასაშლელად წყლის ჭავლი გამოიყენა.

თუმცა, მომიტინგები არ დაიშალნენ. პოლიციამ სულ 80 ადამიანი დააკავა, ბაქო, 10 მარტი 2013

## მზარეო საპარტასტო ქალი აზერბაიჯანში

წინასაარჩევნოდ ილხამ ალიევს ოპოზიციის მხრიდან სერიოზული საფრთხე არ ელის, თუმცა, ქვეყანაში საპროტესტო მუხტი იმატებს და მიუხედავად ხელისუფლების ხისტი პოლიტიკისა, არ წყდება.

### ვასო კუჭუხიძე

2013 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ილპამ აღიერების მესამე ვადით დაკავებას შეეცდება. მმართველი გუნდის ხელში მობილიზებული რესურსებიდან და ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, უკვე

შეიძლება იმაზე საუბარი, რომ აღიერს ოპოზიციის მხრიდან სერიოზული საფრთხე არ ელის. მამა-შვილის თითქმის 20 წლიანი მმართველობის განმავლობაში ოპოზიციის დასუსტებისა და მარგინალიზაციის შედეგად ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც 2013 წლის არჩევნებში აღიერისთვის კონკურენციის გაწევას შეძლებს.

მიუხედავად ოპოზიციის სისუსტისა, 2013 წელი ქვეყნაში მწვავედ დაიწყო და არჩევნების მთავრობასთან ერთად დაძაბულობის მატებაც არის მოსალოდნელი. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში იპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის თაოსნობით ქვეწის სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე მასშტაბური აქციის ორგანიზება მოხერხდა, რომელთა უმრავლესობაც პოლიციამ დაშალა. ძალის დემონსტრირებითა და აქციების ორგანიზატორთა თუ მონაწილეთა მიმართ გამოყენებული სანქციებით რეჟიმი ცდილობს ვითარების განმტკვას, მაგრამ საპროტესტო მუხტი ქვეყნაში არ წყდება და სულ უფრო მზარდ ხასათს იძენს. იპოზიციონერი მოსახლეობის განწყობაც შეიცვალა, და თვალში საცემი გახდა, თუ როგორ არღვევს საზოგადოებაში ჩაბუდებულ ნიპილიზმს სხვადასხვა სოციალური მოძრაობების მიერ აგორებული საპროტესტო ტალღა.

კიდევ ერთი თავისებურება გახდავთ ის, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, საპროტესტო გამოსვლებმა აშკარად სოციალური ხასიათი შეიძინა და მასში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი ჩაერთო. გარდა ამისა, აქციები უკვე გასცდა პოლიტიკურ ჩარჩოებს, რადგანაც პროტესტი ხშირად სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებს უკავშირდება. ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ მაღაზიის მფლობელთა აქცია, რომლებიც გადასახადების სწრაფ მატებას აპროტესტებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აქცია არ ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, ის მაინც ძალის გამოყენებით დაშალეს. გარდა ამისა, პოლიციამ დააკავა აქციის 15 მონაწილე, რის საპასუხოდაც ქვეყნაში მაღაზიების 5000-მა მფლობელმა დაკავებული თანამოქალაქების სოლიდარობის ნიშანდ დროებით საკუთარი მაღაზიები დაკეტა. სოციალურ თემებს მოჰყვა რამდენიმედღიანი საპროტესტო აქციები ქალაქ ისმაილში, რომელიც ასევე პოლიციასთან შეტაკებებით და დემონსტრაციებით დაპატიმრებით დასრულდა. 10 მარტს კი აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მიერ სოციალური ქსელებით ორგანიზებული აქცია, რომელიც ჯარში გარდაცვლილთა რაოდენობის მატებას აპროტესტებდა და თავდაცვის მინისტრის, სეფერ ებიევის გადადგომას ითხოვდა, ასევე პოლიციის მიერ ძალის გამოყენებით დაშალეს და ასობით მონაწილე დააკავეს.

ოფიციალური ბაქო ცდილობს ქვეყნაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია მინიმალურად გავიდეს ქვეყნის საზღვრებს

**■ მიუხედავად მზარდი საერთაშორისო ინტერესისა, აზერბაიჯელი ბლოგერებისა თუ საზოგადოებრივი მოძრაობების აქტივისტების მცდელობა, ქვეყნაში არსებული საპროტესტო განწყობა „აზერბაიჯანული გაზაფხულის“ დასაწყისად შერაცხონ, მსოფლიოს ყურადღება მიიქციონ და დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა თუ სოლიდარობა მოიპოვონ, ჯერჯერობით წარუმატებელია.**

ამის მიზეზი გარკვეულწილად გახლავთ ის, რომ მზარდი საპროტესტო მუხტის მიუხედავად, გადაჭარბებული და გაზიადებულია აზერბაიჯანელ იპოზიციონერ პოლიტიკოსთა მოსაზრება ქვეყნაში „არაბული გაზაფხულის“ მუხტის შეღწევის შესახებ. არ არსებობს მძლავრი, ფართომასშტაბიანი და უწყვეტი საპროტესტო საპროტესტო ტალღა, რომლის მიზანიც იქნება რეჟიმის შეცვლა და ქვეყნაში ახალი სოციოპოლიტიკური ვითარების დამყარება. თუმცა აზერბაიჯანში ბოლო თვეების განმავლობაში გამართულ საპროტესტო აქციებს რამდენიმე მსგავსი ელემენტი მართლაც აკავშირებს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებთან. განსაკუთრებული შეიძლება გაუსვათ ხაზი საპროტესტო გამოსვლების ორგანიზების საკითხებში სოციალური ქსელების როლს. ასევე თვალშისაცმია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სოციალური თემების ნინ წამოწევა და რაც მთავარია, ამ პროცესებში აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდობა, რომელთა ნაწილს განათლება დასაცლეთში აქვს მიღებული და ვერ ეგუება ქვეყნაში გამეფებულ ელიტურ კორუფციას, შერჩევით სამართალს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის სულ უფრო მზარდ უთანასწორობას, ნეპოტიზმს, მილიტარისტულ რიტორიკას და ა.შ.

საპრეზიდენტო არჩევნების ნინ, ვითარების დაბაბების შემთხვევაში, შესაძლოა მართლაც გაიზარდოს აზერბაიჯანში „არაბული გაზაფხულის“ ტალღის შეღწევის აღბათობა და კარგი იქნება, თუკი ამას მმართველ წრეებშიც მიაქცევენ ყურადღებას, რადგანაც „არაბული გაზაფხულის“ მაგალითით თუ ვიმსჯელებთ,



სწორედ ის რეჟიმები დაემხო, რომლებმაც უკმაყოფილო მოსახლეობის დიდ ნაწილთან კომპრომისებზე წასვლა არ ისურვეს და საზოგადოების საპროტესტო განწყობას რეპრესიებითა და ძალადობით უპასუხეს. ხოლო იმ რეჟიმებმა, რომლებმაც მზარდი უკმაყოფილების განეიტრალიზების კომპრომისულ სტრატეგიაზე გააკეთეს აქცენტი, რეფორმების გატარების დაწყებით შეინარჩუნეს ძალაუფლება. სამწუხაროდ, ბაქოში ამ გამოცდილებას არ იზიარებენ და ალიევი რეფორმების ნაცვლად ხისტი მეთოდებით უპირისპირდება საკუთარი მოსახლეობის უკმაყოფილო ნაწილს.

საპროტესტო ტალღის ზრდის პარალელურად გაიზარდა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა მედიაზე. მართალია, ოპოზიციური მედიასაშუალებები რეჟიმის კეთილგანწყობით არასდროს სარგებლობდნენ, მაგრამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ისინი განსაკუთრებულად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დამოუკიდებელ მედიასთან პროლის სტრატეგიაში კი ფინანსური ჯარიმებს წამყვანი ადგილი უჭირავს. მაგალითად, ოპოზიციურმა გაზეთმა „Yeni Musavat“-მა 2012 წელს ჯარიმის სახით 3 მილიონი მანათი გა-

■ კიდევ ერთი თავი-სეპურება გახლავთ  
ის, რომ გასული  
წლებისგან განსხვა-  
ვებით, საპროტესტო  
გამოსვლებმა აშკარად  
სოციალური ხასითი  
შეიძინა და მასში  
სხვადასხვა საზო-  
გადოებრივი ჯგუფი  
ჩაერთოთ.

დაიხადა. ამგვარ ფინანსური წნებს დამოუკიდებელი ბეჭდვითი მედიის ბევრმა წარმომადგენელმა ვერ გაუძლო და დაიხურა, რაც ქვეყნის მედია გარემოს კატასტროფულ მდგომარებაში აყენებს. სწორედ ამიტომაც Reporters Without Borders-ის მიერ პრესის თავისუფლების მხრივ დალაგებულ 179 ქვეყანაში აზერბაიჯანს 156-ე ადგილი უჭირავს.

ხელისუფლების მხრიდან მედიის გაკონტროლების პირობებში, აზერბაიჯანში საზოგადოების იპოზიციურად განწყობილი ნაწილისთვის ინფორმაციული ბრძოლის ერთადერთ რეალურ საშუალებად სოციალური ქსელები რჩება. სწორედ მათი გამოყენებით ხდება არამარტო ინფორმაციის გავრცელება, არამედ მხარდამჭერების მობილიზება და საპროტესტო აქციების ორგანიზება. შესაბამისად, ინტერნეტი და სოციალური ქსელები ხელისუფლებისთვის მთავარ საფრთხედ იქცა და ეს გამოწვევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას წინასარჩევნოდ შეიძინს. თუკი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიის გაკონტროლებით ალიევმა იოლად მოახერხა მისთვის სასურველი საინფორმაციო გარემოს შექმნა, ეს 2013 წელს გაცილებით რთული იქნება. **¤**

# 0308 iOS-0ს0308



ლიტერატურული - ბეჭდი ჟურნალის iPhone, iPad და iPod Touch-ზე

0308 iOS-0ს0308!

0308 iOS-0ს0308!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

0308 iOS-0ს0308 სამართლებას გადასცვის გარემონტი 030016700 lit.ge-b 6036360 მა კონფიდენციალური 033366 iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადაღებისას და მიმღები მოწყვეტილობები iTunes-ზე მიმღები „IOTA READER“



# ონები იხილავთ სასაფრაო

ზუგდიდში, ონარიის დასახლებაში 100-ზე მეტი ოჯახი უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს. ერთ დროს ჩაის ფაბრიკის მუშებისთვის აშენებული სახლები დღეს უიმედობის თავშესაფარია.

ავტორი, ფოტო: მალხაზ ჭკადუა



ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის წინ აშენებული კორპუსების უმრავლესობა ავარიულია, მათი რეაბილიტაცია შეუძლებელია.

დამტვრილ ქუჩებში მივკრით აშენებული ხის ძველი სახლებიდან რამდენიმე წყვილი თვალი ერთდღოულად გვიყურებს. ინტერესით გვათვალიერებენ გამვლელებიც – როგორც ჩანს, აქ სტუმრებს დიდად შეჩვეულები არ არიან. არადა, კომპაქტური დასახლების ცენტრი ონარიაში ზუგდიდის ცენტრალური მოედნიდან სულ ოთხიოდ კილომეტრში, სოფელ ჭითაწყარში მდებარეობს.


ონარიის დასახლება 1992-1993 წლების საომარი მოქმედებების შემდეგ ათეულობით დავინილი და ამდენივე ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ოჯახის თავშესაფარი გახდა. საბჭოთა დროს სახელდახელოდ ჩაის ფაბრიკის მუშებისთვის აშენებულ 31 საცხოვრებელ კორპუსს შორის ქუჩებს სახელები ჰქვია, მაგრამ აქაურობას ერთი სახელი აქვს – უკიდურესი სიღატაკე.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და დანომრილი სახლებიც გამოჩნდა.


„სახლები მე დაგნომრე, მუშაობა ასე უფრო გამიადვილდა, ალვნერეთ საცხოვრებლები და დავდიოდით აქაურების პრობლემების გამოსაკვლევად“, – ამბობს არჩილი, რომელსაც რამდენიმე გამვლელი ცნობს და ხელსაც ართმევს. არჩილ თოდუა, ჩემი მეგზური, 2011 წელს ჩეხერი ორგანიზაციის PIN (People in Need) პროექტის ფარგლებში სოციალური ჯგუფის ხელმძღვანელად მუშაობდა და ადგილობრივების პრობლემები შეისწავლა.

ნახევრადმონგრეულ ღობეზე გადავდივართ, არჩილს საგანგებოდ იმ ღელესთან მივყავართ, რომელიც ონარიის დასახლების მკვიდრთა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ღელეს, დასახლებიდან ათიოდ მეტრში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის შენობიდან საკანალიზაციო მილი აქ შესახლებულების არაერთი ავადმყოფობის მიზინი ხშირად გამხდარა.

„სამმართველომ გვითხრა, რომ კანალიზაციის საკითხი მათ არ ეხებოდათ. გამოსავალი იმაში ვიპოვეთ, რომ პროექტის ფარგლებში დასახლებაში სამი ჭა გავთხარეთ, ამ ჭებში წყალი არ ბინძურდება“, – ამბობს



ონარიის დასახლება შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს შენობას ესაზღვრება. სამმართველოდან საკანალიზაციო მილი აქ შესახლებულების არაერთი ავადმყოფობის მიზინი ხშირად გამხდარა.



ლუკა და „ჭრელა“ რიქს ყოველდღიურად იყოფენ. ჯლარვავებს ძრობა და ორიოდ თვის ხბო ნათესავებმა ჩაუქცა.

არჩილი. თუმცა, პრობლემა ამით არ მოგვარებულა: ონარიელების უმრავლესობას ამ ჭებიდან წყლის ამოსაქაჩი ტუმბოს შესაძენი თანხა არ აქვს. წყალს ისევ ხელით ეზიდებიან.

აქ ქარისა და წვიმისაც ეშინიათ. ძველი სახურავებიდან წყალი ბევრგან უონავს, კედლები დაბზარულია. ნახევარ საუკუნეებზე მეტი ხნის წინ აშენებული კორპუსების რეაბილიტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.

„დილაობით რომ ვგვი, ლამის კილოგრამობით გამაქვს ბათქაში და მტვერი. მეუბნებოდა სამინისტრო, გადაგიყვანთ სხვა ადგილასი, მაგრამ იმ სოფელში რა გავაკეთო, მიწა იქ არ იქნება და სამსახური, აქ კიდევ ქალაქთან ახლოს მაინც ვარ“, – ამბობს 58 წლის გალიდან დევნილი ნაზი თაკალანძე.

2011 წელს PIN-მა ონარიის დასახლებაზე სოციალური მდგომარეობის ანალიზი გამოაქვეყნა. დოკუმენტში, რომლის ავტორი არჩილ თოდუაა, საყოფაცხოვრებო და ინსტიტუციურ საჭიროებებთან ერთად, პროსტიტუციის პრობლემაზეც არის საუბარი.

„სილარიბის მაღალი დონე და ნულოვანი შემოსავლები აქ მცხოვრებთა გარკვეულ ნაწილს (ქალებს) იძულებულს ხდის, ჩაებან პროსტიტუციაში. ონარიაში მცხოვრებ კომერციული სექსით დაკავებულ ქალბატონთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, რიგი იბიექტური მიზეზების გამო, ვერ შევძელით, თუმცა რამდენიმე ბენეფიციართან თუ რესპონდენტთან პირადი საუბრისას დაგდინდა კომერციულ სექსმუშაკთა სავარაუდო ოდენობა და ეს რიცხვი დაახლოებით ოცს უტოლდება. ონარიის დასახლებაში პროსტიტუციის მაჩვენებელი, საქმაოდ მაღალია, და ამიტომ სექსუალური გზით გადამდებ დაავადებებით დაავადებულ პირთა რაოდენობაც დიდია“, – ვერთულობთ კვლევაში.

სამწუხაოდ, პროსტიტუციაში ჩაბმულ პირებთან და მათ ახლობლებთან არც სოციალური სამსახურის წარმომადგენლები და არც ფსიქოლოგები არ დადიან.

ფსიქოლოგის აუცილებლობაზე საუბრობს ონარიის საშუალო სკოლის დირექტორი სოფიო ავალიანი. სკოლაში სულ 125 მოსწავლე სწავლობს, მათგან 87 სოციალურ დაუცველი ოჯახებიდან არის. დირექტორი ამბობს, რომ წელს მხოლოდ ამ კატეგორიის მოსწავლებმა მიიღეს სახელმძღვანელოები, 2011 წელს კი არასამთავრობო სექტორის დახმა-

რებით წიგნები და სხვა სასკოლო ნივთები ყველაზე მიიღო.

„უმრავლესობა ისეთი ტრავმირებული ოჯახებიდან არის, რომ აუცილებელია მათთან დამატებით მუშაობა... ხშირად ფეხსაცმელიც კი არ აქვთ, რომ სკოლაში იარონ. ვერმარებით, როგორც ხელი მიგვინვდება – ხან ტანსაცმლით, ხან საკვებით“, – ამბობს სოფიო ავალიანი.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა რამდენიმე ნლის წინ სკოლასთან საერთო სააბაზანო ააშენა, ზოგადად კი ცხელი წყალი და შხაპი აქაურებისთვის ფუფუნებაა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელის თანაშემწეობით ინგა შონია ამბობს, რომ საერთო სააბაზანოები ზუგდიდში რამდენიმე ადგილას აშენდა, თუმცა ამ დროისთვის ონარიის კომპაქტურ დასახლებაში კომიტეტი არცერთ პროექტს არ ახორციელებს.

„მკვადრი მკვდარს რომ აეკიდება, ისე ვართ მე და ჩემი და. ძმიშვილები ზუგდიდში არ არიან, ხშირად კი ჩამოდიან, მაგრამ საკუთარი ოჯახები ჰყავთ და მაინც ვერ იცლიან ჩვენთვის, ხოდა, გადის დრო მოგონებებით და კარგის მოლოდინით. ჩვენ უკვე ისეთი ასაკისანი ვართ, რომ მომავალზე კი არა საფლავზე უნდა ვფიქრობდეთ, მაგრამ არ მინდა, რომ ჩვენი იმედები დასამარდეს“, – ამბობს ფაფალა ქარდავა. არც დასაკლებ უჩვეულო სახელი – ფაფალა და ფუფულა ონარიის დასახლებაში ყველაზიცის – დანგრევის პირამდე მისულ სახლში სტუმრებს ცხელი ჩაი და გულირიფშზე მოგონებები ელით.

ლუკას აფხაზეთი არ უნახავს, მაგრამ უფროსი მეზობლების საუბარს ყურადღებით უსმენს. პირველ კლასშია, სწავლასთან ერთად მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნვავი „ჭრელაა“, ხან წყალს დაუსხამს, ხანაც მასთან ერთად დარბის ეზოში. ლუკა თავისი ხბოთი ბავშვობაში წაკითხული ერთი მოთხობის ილუსტრაციას მაგონებს.

სახლი, სადაც ლუკა ცხოვრობს, გზის პირზეა, მოპირდაპირე მხარეს კი ჩაის პლანტაციაა, რომელსაც თითქმის 25 წელია, მერეფავის ხელი არ მიკარებია. შესახლების შემდეგ დევნილმა და სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფმა ადგილობრივმა ოჯახებმა პლანტაციები ისე მოაწესრიგეს, რომ იქ სიმინდის მოყვანა დაიწყეს, თუმცა არცერთ

■ „უმრავლესობა ისეთი ტრავმირებული ოჯახებიდან არის, რომ აუცილებელია მათთან დამატებით მუშაობა... ხშირად ფეხსაცმელიც კი არ აქვთ, რომ სკოლაში იარონ. ვერმარებით, როგორც ხელი მიგვინვდება – ხან ტანსაცმლით, ხან საკვებით“, – ამბობს სოფიო ავალიანი.

მათგანს მინა საკუთრებაში არ გადასცემია. ახლა ეს მინები ერთ-ერთი იტალიური კომპანიის საკუთრებაა, რომელმაც ათეულობით ჰექტარზე თხილი გააშენა და მოსავლის ექსპორტს ეწევა.

2013 წლიდან პრობლემაა დევნილთა მიერ 100 კვ/სთ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადიც. ონარიაში გვითხრეს, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტროს ეს თანხა ჯერ არ გადაურიცხავს. სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი ირაკლი ქოჩუა გვეუბნება, რომ შეფერხება ტექნიკური ხასიათისაა.

„მოლაპარაკებები მიმდინარეობს სამინისტროსა და „ენერგოპროს“ შორის. როგორც კი პროცესი დასრულდება, თანხაც დაირიცხება. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ონარიაში დევნილებს ელექტროენერგიასთან დაკავშირებით პრობლემა არ ექნებათ“, – ამბობს ირაკლი ქოჩუა. მისგანვი ვიგებთ, რომ ონარიის ძევლი სახლების რეაბილიტაცია შეუძლებელია და 167 დევნილს ეტაპობრივად გადაიყვანენ ზუგდიდში, თბილისის ქუჩაზე მშენებარე კორპუსებში. ამ ეტაპისთვის ზუგდიდში ასეთი 8 კორპუსის აშენებაა გადაწყვეტილი, იქ ბინას 280 დევნილი ოჯახი დაიდგას, თუმცა ეს დროში საკმაოდ განელილი პროცესია, ადგილზე ჯერ მხოლოდ საძირკველია ჩაყრილი. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც ონარიაში უსახლეარობის გამო შესახლდნენ, მუნიციპალიტეტს მათთან დაკავშირებით კონკრეტული გეგმა არ აქვს, არც 2013 წლის ადგილობრივ ბიუეჯეტია რაიმე თანხა გამოყოფილი მათ დასახმარებლად.

„თქვენ იცით, რომ საკმაოდ მნირი ბიუჯეტი გვაქვს: ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ეს ჭების გათხრაა. ასევე მომართვის შემთხვევაში, შესაძლებელია მოქალაქეებს შესაბამის სამინისტროებთან ვუშუამდგომლოთ“, – ამბობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი თოდუა.

იტალიური კომპანიის თხილის პლანტაციებიდან უკან დასახლებაში ვპრუნდებით. სახლებიდან იმავე მზერას ვამჩნევთ, როგორც შემოსვლის დროს, – როგორც ჩანს, აქ სტუმრებს დიდად შეჩვეულები არ არიან.



ონარიაში სასმელ წყალს ხელით ეზიდებიან. გარდა იმისა, რომ შენობები წყლის მილები შეყვანილი არ არის, საგანგებოდ დასახლებისთვის გათხრდი ჭების ნაწილში წყალი სასმელად უვარებისა.



ფაფალა და ფუფულა ქარდავები მინის მცირე მონაკვეთზე ბოსტანს უვლიან, მშიბლიური გულრიფეშის მსგავსად. ონარიაშიც თხილის რამდენიმე ნერგიც დარგეს.

## ფოტორეპორტაჟი



კარნაზის შუაგულში მდებარე წყლის ერთადერთი წყარო.



ფოტორეპორტაჟი

# კარნევალი

თემო ბარძიმაშვილი

# ფოტორეპორტაჟი

კარნაბის ეკლესიისკენ გადახვევის-თანავე გლუვი და გარემონტებული გზა უცრად მთავრდება და ბოლო 200 მეტრის გავლა მანქანას თოვლჭყაპისგან ატალახებული სოფლის ქუჩით უწევს. ეკლესის ეზოში უკვე რამდენიმე ათეული კაცი ჯგუფებადა შეკრიბილი: ერთ ჯგუფს იქვე ქვებზე პატარა სუფრა გაუშლია თოვლში, ვიღაცები არყის ჭიქით ხელში სადღეგრძელოს ამბობენ. დანარჩენები საუბარში არიან გართულნი. უფრო მეტი ხალხი კი ეკლესის შიგნითა შესული საყოველთაო ნათლობაზე დასასწრებად.

კარნახელებს თავისი მღვდელი არ ჰყავთ, და სულ ორიოდე წლის წინ სოფლის ეკლესიაში წირვა თითქმის არ ტარდებოდა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კი აქ ახალქალაქიდან ახალგაზრდა მღვდელმა ტიგრან მხიტარიანმა

დაიწყო ჩამოსვლა. თვეში რამდენჯერმე მამა ტიგრანი კარნაბში წირვა-ლოცვის ატარებდა, ბოლოს კი გადაწყვიტა ადგილობრივების საყოველთაო ნათლობა გაემართა.

13 თებერვალს კარნაბის ეკლესიაში მოსანათლად 40-იოდე სრულიად განსხვავებული ასაკის თანასოფლელი ელოდებოდა ნათლობის დაწყებას. აქ იყვნენ ჩვილი ბავშვები და 50-ს გადაცოლებული მამაკაცები, გათხოვილი ქალები და მოზარდები.

კარნახელი ნაირი კობალიანი დღეს აქ თავისი მოზარდი ვაჟის ნათლობას ესწრება. ნაირი ამბობს, რომ ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კარნაბი ცოტა გამოცოცხლდა და ის უკვე ადრინდელად მიგდებული სოფელი აღარა. „ოცი წელია კარნაბი ჩიხი იყო, ჩვენთან არავინ ჩამოდიოდა, აქედან კი

ახალქალაქამდე 3 საათზე მეტს ვანდო-მებდით ჩასვლას“, – ამბობს კობალიანი.

2010 წელს Millennium Challenge-ის ფარგლებში გარემონტდა ახალქალაქიდან კარნაბში მიმავალი გზა და სოფლის მახლობლად ორი ახალი პროექტი დაიწყო: ბაქო-თბილისი-ყარსის რენი-გზის სადგური და თურქეთის საზღვრის საბაჟოს შენობა.

კარნაბში უმუშევრობა ჩვეულებრივი ამბავია. ყოველ გაზაფხულს სოფლიდან ბევრი მამაკაცი საზღვარგარეთ, ძირითადად რუსეთში სეზონური სამუშაოების საქმიანდ მიდის. ამიტომ ფართო-მასტრაბიანი მშენებლობების დაწყებას იმედის თვალით უყურებდნენ.

ნაირი კობალიანი ბოლო ორი წელი ორივე პროექტის მშენებლობაზე იყო დასაქმებული. ის ამბობს, რომ პირველ წელს სამუშაოების შემსრულებელი



ზამთარი კარნაბში ქორწილების სეზონია, რადგან საზღვარგარეთ სეზონური სამუშაოებზე გასული მამაკაცები შინ სწორედ ამ დროს პრუნდებიან.

յոմեանոյեցի հրցուլարուլաց օթգուժնեն ხելոցաևս. մայրամ 2012 նոյն ծագելուն ծոլողան մոպոլեպուլո մշենեծլոծաչի դասայմեպուլո տուշմուս արց ըրտ կարնա- նելու ար այլու ხելոցաևս. ծոլուն ման դա մուսմա տաճառովուլուլում սասամար- տուն սարհելու մերունու յարտուլու կոմ- ձանու „մէս ոնքմշենու“-ս նոնաալմզցց.

ամ օնցուցենցուն դա մոյշեգացաց նաորո դու միյեցեծ ամպարեծ րկոնցին դա տպրյետան սանլուրու գաեսնաչի. პորզե- լուն մեմտեզեցամու ու ամծոնս, րոմ րկոնց- ին տպրյուլուն դա եռորցուն տպունուն- մու հաութանա ցալուլուն ուացու դաշուլուն դա մոմցեցնուն ոյենենա. տպրյետմու յո մաս ուսց սեծոնուրու սամշառունուն մոմցենուն ոմեցու այցես. „րաց տպրյեցտան աճրյ մո- եցա, յե յուզե ուստորուա,“ – ամծոնս ու. „ածլա յո տացու սեցանաու ցեղուրյեցաս յոնց ցարտուցատ.“ **¤**



մամա լուցրանո կարնասու ցլուսունու սապուցելուն նաունուն նոն յագացենս.



## ფოტორეპორტაჟი





სასტუმრო „ოქროს სანმის“ დამსვენებლებზე მეტად წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტები ახსოვთ. სამთავრობო სტრუქტურები ფრენინგ-სემინარებს საგანგებოდ ამ სასტუმროში მართავდნენ ხოლმე.

# ლიტერატურის ვებგვერდიზან



## ჩამი მიუხვები

ქეთი სადლობელაშვილი

ამბავი იყო ასეთი: საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალმა გენერაციურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა განახლებულ სტრუქტურაში საინფორმაციო-პოლიტიკური პროგრამების დეპარტამენტი გააუქმა და მის ხელმძღვანელს, გაზრდილი ხელფასით, მრჩევლობა შესთავაზა. ხათუნა ბერძენიშვილი არა მარტო „მოამშეს“ აზანზარებდა პირველ არსზე, არამედ დირექტორ – თავმჯდომარებელსაც. გავლენიანი მფარველების წყალობით ყველაფრის უფლებას აძლევდა თავს და ისე იქცეოდა, როგორც საჭიროდ თვლიდა, – ასე ამბობდება.

მაყურებლები რასაც ვხედავდით, ის იყო, რომ „მოამშეს“ იმ სანფორმაციო სივრცეში ტივტივებდა, სადაც ნაცმოძრაობა ლივლივებდა. ერთსაათიანი საინფორმაციო გამოშვებები საათნახევარზე მეტანს იყო ეთერში და მთლიანად ანგრევდა მაუწყებლის ბადეს, რომელიც, წესით და რიგით, ყველა ტელევიზიონური ცენტრის კონსტიტუციაა. „მოამპისა“ და პოლიტიკური თოქ-შოუების გარდა, ყველა სხვა გადაცემა გერივით გამოიყურებოდა მაუწყებლის ეთერში. მოკლედ, ბერძენიშვილმა არ მიიღო შეთავაზება და „მოამპის“ ეთერში

ბრიფინგი გამართა – არიქაა, ახალი პოლიტიკური ძალა ცდილობს მაუწყებლის ხელში ჩაგდებას და ამიტომ მომაშორეს „მოამშეს“. გიორგი ბარათაშვილის სახელი ყველა ბრუნვაში ატრიალა, კრიმინალშიც დაადანაშაულა და მაუწყებლის სამეცნიერო საპქოს მოუნიდა, საგანგებო სხდომა მოეწვიათ. ბერძენიშვილს დამორჩილებულმა საბჭომ, რომლის ფუნქციებშიც საკადრო ცვლილებები არანაირად არ შედის, საკითხის განხილვა დაიწყო – სხდომის ჩანაწერი უმძიმეს შთაბეჭდილებას ტოვებს – მაფიის ბოსი ხელქვეითებს რომ მოძღვრავს, ისე მოძღვრავდა ბერძენიშვილი გაყურსული საპქოს წევრებს. მათ კითხვების გარეშე მოუსმინეს ბერძენიშვილს, „სკაიპით“ ჩართეს ევროპის მაუწყებელთა კავშირის კონფერენციაზე მივლინებული ბარათაშვილი, რომელმაც მივლინება შეწყვიტა და ტრაპზე რომ ავიდა, დასკვნაც დაიდო – სამეცნიერო საპქოს მიერ ორი თვის წინ არჩეული დირექტორი ჰაერში მოიხსნა.

ამ ამბავმა საზოგადოებრივ მაუწყებელში გაზიარდა პროტესტი, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბერში განინდა, როდესაც სამეცნიერო საბჭომ მართვის კრიზისის მიზეზით გია ჭანტუ-



სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ლევან გახელაძე, მარტი 2013

რია, უკვე მეორე დირექტორი (ლევან ყუბანევშვილის შემდეგ) ვადაზე ადრე გაუშვა და ახალი დირექტორის ასარჩევად მოემზადა – საბჭოს არაკომისეტენტურობა ცხადი გახდა. თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფმა საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი მაშინაც დააყენა და პარლამენტს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისავან რიგგარეშე ანგარიშის ჩაბარება სთხოვა. საბჭოს მიერ არჩეული მესამე დირექტორის 2 თვეში მოხსნა კი უკვე კრიტიკული ზღვარი აღმოჩნდა. თანამშრომელთა უმრავლესობამ მოითხოვა სამეურვეო საბჭოს წევრებთან შეხვედრა და მათი არგუმენტების მოსმენა. ეს შეხვედრაც შედგა.

## მოციური ექიმი

„მე არც მედიასპეციალისტი ვარ და არც მედიაში ჩახედული ადამიანი, მედიკის სფეროდან ვარ. მაუწყებელში რაც ხდება, იმაზე ჩემი შეხედულებები, შეგრძნებები და მოტივაციები შეიძლება სხვებისგან განსხვავებული აღმოჩნდეს. მე ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ადამიანურ ურთიერთობებს, რაც არის მეგობრობა, რასაც ქვია ზნეობა და მორალი, რაც მე გამაჩინია პირადად და ყველა ჩემს შეფასებას და გადაწყვეტილებას აქედან ვაკეთებ, ჩემთვის შოკსმომგერებლი იყო მეგობრებს შორის ასეთი დაპირისპირება, თურმე ეს ორი ადამიანი ყოფილა საოცრად ახლო მეგობრები, თუ ნათესაობას თავს დავანებებთ. ერთადერთი რაც ადამიანებს გადაკიდებს და მტრებად აქცევს, ეს არის პოლიტიკა. (დარბაზი

### ■ მაუწყებლის

**თანამშრომელთა**  
უმრავლესობამ კი სამეურვეო საბჭოს უნდობლობა გამოუცხადა და პარლამენტს, რომლის წინაშეცაა ანგარიშვალდებული სამეურვეო საბჭო, თხოვნის მიმართა, სამართლებრივ ჩარჩოში განეხილა საკითხი - თანამშრომელთა უმრავლესობის მხრიდან სამეურვეო საბჭოს მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

ტაშშაშვილის უკრავს, მეურვე იბნევა) ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ორ მოდავე მხარეს შორის ჰიპოტეტიურად რომ წარმოვიდგინოთ, ერთი მხარე არის პოლიტიკური უმცირესობის წარმომადგენელი, მეორე – უმრავლესობის“.

პირველად ვნახე ამ შეხვედრაზე და რადგან არ ვიცოდი, ვინ იყო, სხვა სახელით მივმართე (არადა, 2010 წლიდან გვმეურვეობს თურმე ეს ემოციური ექიმი, ავთანდილ ანთიძე)

– ბატონი ვოვი, რატომ ვინდოდათ გამხდარიყავით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი, რა მოტივაცია გამოძრავებდათ?

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ წყენით გვიპასუხა – რატომ, რა, არ შეიძლება?! მედიაკომპეტენციაში ვერ შეგვედრებით, მაგრამ..

ასე დაუჭირა მხარი ბატონმა ავთანდილ ანთიძემ გენერალური დირექტორის გადაწყვეტას.

ამ შეხვედრაზე საბჭოს მხოლოდ 6 წევრი მოვიდა და თანამშრომელთა მოითხოვნას – გადახედედა და შეევვალა უკანონო გადაწყვეტილება (საბჭოს შემადგენლობის 1/3, ანუ 10 ხმა იყო საჭირო დირექტორის გადაყენებისთვის, არადა ხმა 9 წევრმა მისცა) ორი დღის შემდეგ საბჭომ იმით უპასუხა, რომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. უკვე ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

მაუწყებლის თანამშრომელთა უმრავლესობამ კი სამეურვეო საბჭოს უნდობლობა გამოუცხადა და პარლამენტს, რომლის წინაშეცაა ანგარიშ-

# ლიტერატურის ვებგვერდილან

ვალდებული სამეურვეო საბჭო, თხოვნით მიმართა, სამართლებრივ ჩარჩოში განეხილა საკითხი – თანამშრომელთა უმრავლესობის მხრიდან სამეურვეო საბჭოს მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

## მზარის მზერა

როგორც გაირკვა, 2009 წლიდან გვმეურვეობს ემზარ გოგუაძე. ის აღმოსავლეთმცოდნე ყოფილა, მაგრამ მაუწყებლის თანამშრომელებთან სასაუბროდ რატომძაც დასავლელი ფოლენერის სული შეაწეა. მეგობრობის თემაზე მანამ ისაუბრა, სანამ არ შეასხენეს, რომ ლირიკული წიაღს-ვლები იმ წუთებში არავის ანტერესებდა. გრძელი მონოლოგის დასასრულს გაგვიმზილა, რომ გიორგი ბარათაშვილისთვის არც არჩევისას დაუქრია მხარი და არც გადაყენებისას. როცა შევედრა დამთავრდა, ემზარმა აღლევებულ თანამშრომებს კეთილგანწყობა დაუდასტურა, მეგობრობისა და ერთად ყოფნის საყოველთაო სიკეთეზე ისაუბრა და ამ განწყობით მეორე დღესაც ვიხილეთ ფოიესა თუ ოთახებში შინაურულად მოარყული. რა უნდა ადამიანის კეთილგანწყობის მოპოვებას – ჩავთვალეთ, რომ ემზარი „ჩვენიანია“. რა ვიცი, ასე გვარჩმუნებდა.

მეორე დღეს, საინიციატივო ჯგუფი ქუთაისში წავიდა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში მაუწყებლის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების ინიცირება იყო დაგემილი. ცვლილებების კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფს მაუწყებლის საინიციატივო ჯგუფი რამდენჯერმე შევდა საქამად მწვავე დებატების ფორმატში. მათ ჩვენი წინადაღებები და მოსაზრებები გავაცანით – არ ვეთანხმებოდით სამეურვეო საბჭოს კვოტირების საკითხს, სამეურვეო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტიკულების საკითხი ბუნდოვნად გვეჩევებოდა. ვთვლიდით, რომ იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, როცა მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ სამზარეცხოვი კრიტიკული გაუშვა ვადაზე ადრე, მართვის კრიზისის საბაბით და თვითონ პასუხისმგებლობა არ გაიზიარა, საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი მეტად უნდა განსაზღვრულოყო. ასევე უნდა გააქტიურებულიყო და დაფინანსების წყარო გასჩენდა მაუწყებლის საზოგადოებრივ საბჭოებს, რომლებიც დღემდე უმოქმედოა. კიდევ იყო რამდენიმე საკითხი, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანს. ჩვენი მოსაზრებების და წინადაღებების ნაწილი გაითვალისწინა ცვლილებების კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფმა (განსაკუთრებული მაღლობა თამუნა კორძასას). სწორედ ამ ჯგუფთან ერთად მიგვიწიეს საქართველოს

■ შენუხდა პარლამენტის თავმჯდომარე – კუთხეში რატომ ზიხართ, აქეთ მობრძანდითო, გამოატანინა კამი და გვერდით მოისავა. აპა, რას გვატყივით? ემზარმა – აქედან ბევრი ჩემი მეგობარია – ისევ მეგობრობაზე დაიწყო გრძელი საუბარი, მაგრამ ბატონმა უსუფაშვილმა – გასაგებია, გასაგებიაო. ახლა მეორე მხრიდან მიაპყრო სივრცეს მზერა ემზარმა.

## პარლამენტში.

კომიტეტის სხდომაზე, დებატების დროს, გაიღო კარი და ნაცნობი მზერა – ემზარი! საპარლამენტო უმცირესობის რომელიდაც წევრმა გამოაცხადა, რომ მაუწყებლის კანონში შესატანი ცვლილებების ალტერნატიული კანონპროექტიც არსებობს და ისიც უნდა განვიხილოთთ. ალტერნატიულ კანონპროექტს ემზარ გოგუაძე მოუძლოდა, სამწუხაროდ, დააგვიანდათ. დეკემბერში წარდგნილი კანონპროექტი უკვე ინიცირებული იყო. სხდომა დავტოვეთ და გვითხრეს, პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა შევხვდეთო და საგულდაგულო შემოწმების შემდეგ ბატონ დავით უსუფაშვილის კაბინეტში შეგვიყვანეს – კანონპროექტის ავტორები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და მაუწყებლის საინიციატივო ჯგუფის წევრები.

შეხვედრა დაწყებული იყო, როცა კარი ჩემად გაილო, ფეხარეფით შემოვიდა ემზარ გოგუაძე და რადგან მაგიდასთან ადგილი ალარ იყო, კუთხეში, შეუმჩნევლად მიჯდა და რატომძაც სივრცეს მიაპყრო დაძაბული მზერა. მაუწყებელში მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას ვილაცამ თქვა – სამეურვეო საბჭოს წევრიც გვესწრებათ. შენუხდა პარლამენტის თავმჯდომარე – კუთხეში რატომ ზიხართ, აქეთ მობრძანდითო, გამოატანინა კამი და გვერდით მოისავა. აპა, რას გვეტყვითო? ემზარმა – აქედან ბევრი ჩემი მეგობარია – ისევ მეგობრობაზე დაიწყო გრძელი საუბარი, მაგრამ ბატონმა უსუფაშვილმა – გასაგებია, გასაგებიაო. ახლა მეორე მხრიდან მიაპყრო სივრცეს მზერა ემზარმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ – საზოგადოებრივი მაუწყებელი არც ხელისუფლებისაა, არც ოპოზიციის და არც თანამშრომლებისა, ის საზოგადოებას ეკუთვნის და შეუფერხებლად უნდა იმუშაოს, დანარჩენს კანონი დაარეგულირებსო. მალე დავისალეთ. სალამოს, დავით პაიჭაძესთან დაალიგოში ისევ გაიელვა ემზარის ეჭვიანმა მზერამ და – ეს ხალხით, ჩვენზე თქვა, ეტყობა, ხშირად ხვდებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარესო. გარიგებასა და პოლიტიკურ ზენოლაზეც ისაუბრა (ეგზომ ანგაურებული წამყვანიც კვერს უკრავდა). მეორე დღესაც გამოვიდა საინფორმაციოებში და ისევ იცრუა – პარლამენტის თავმჯდომარემ ასე უთხრა საინიციატივო ჯგუფის წევრებს – რაც შეიძლება ბევრი ხელმოწერა შეაგროვეთ ტელევიზიაში და დანარჩენი მე ვიციო.

რაღაც უნდა ვთქვა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შესახებ. ახლაც ზურგ-სუკან, ემზარის მზერას ვგრძნობ. **¶**

# "საზოგადოებრივი მოცურნალისა"

ირაკლი აბსანძე

ამ თემაზე როცა ვფიქრობ, ხშირად მასენდება ხოლმე 2008 წლის აგვისტოში რუსული ტყვიით გაკარრული ჟურნალისტი თამარ ურუშაძე, რომელიც გასროლიდან დაახლოებით ერთ კვირაში საქართველოში ჩამოსულ კონფლიქტზე რაისს საავადმყოფოს საწლოში დაახვედრეს. კარგად მახსოვე ჟურნალისტის საგულდგულოდ დაყენებული ვარცენილობაც.

ძნელია პიროვ ამაზე ნათელი მაგალითი, როცა ჟურნალისტისა და პროპაგანდის აღრევაზე წერ. თამარ ურუშაძე, რომელიც, მგონი, გმირობისთვის ორდენითაც კი დააჯილდოვეს, გასროლიდან კონდოლიზა რაისის ჩამოსულმდე აქტიურად მუშაობდა რეპორტაჟზე, საავადმყოფოს ფარსში მონაცემების დასათანხმებლად, ალპათ, უთხრეს, რომ განსაცდელში მყოფ სამშობლოს ასე სჭირდება. ნარმომიდევნია, რამდენი მაღალჩინოსანი იქნებოდა ჩართული ამ სცენის მომზადებები, რამდენი არგუმენტი ექნებოდათ მზად მის დასარწმუნებლად.

მოუხედავად იმისა, დაარწმუნეს თუ თავი დაირწმუნა, ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ თამარ ურუშაძემ ჟურნალისტისაზე მაშინ თქვა უარი, როცა საზეიმო ვარცხნილობით ჩანვა მისთვის გამზადებულ ლოგიტი. არა მგონია, კონდოლიზა რაისისთვის ნაკლებად დამაჯერებელი ყოფილიყო, თამარი მიკროფონით და შეხვეული ხელით აეროპორტში რომ დაახვედროდა.

საავადმყოფოს სიყალბეჭ სრულიად გააუფასეურა ახალგაზრდა ქალის მართლაცდა გაბედული საქციელი, როცა ის რუსული ტანკებიდან რამდენიმე მეტრში პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. სიყალბეჭს და ტყუილს ასეთი თვისება აქვს – სიმართლის ზღვაში ერთი წევთიც რომ შეერთოს, ტყუილს ზღვაზე აქცევს. წდობის მომოვება ძნელია, დაკარგვა – ადვილი.

ხათუნა ბერძნენიშვილის საჯაროდ გამოჩენის შემდეგ უფრო გასაგები გახდა, რატომ არის „მოამბე“ ის, რაც არის. საკუთარ პროფესიონალიზმზე ინდიელების ბელადი-



ვით მესამე პირში მოსაუბრე ქალბატონი, რომელიც საკუთარი პერსონის თავისუფალი მედიისათვის წამებულად სტილიზირებას ცდილობს, ერთ-ერთი ველებზე ყალბი სანახაობაა, რაც ბოლო წლებში მინახვს. ანერციონურია ვითარება, როცა ხათუნა ბერძნენიშვილი მაუნტებლის სამეურვეო საბჭოს სამართლიანობის აღდგენას სთხოვა. სწორედ იმ საბჭოს, რომლის წევრები ბერძნენიშვილთან შეხვედრას წლების განმავლობაში უშედებოდ ითხოვდნენ.

საზოგადოებრივ მაუნტებელს ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად თაობათა წყვეტა მიმართია. ჯულიეტა ვაშავაძის, დავით სოკოლოვის, ციური ბაჯელიძისა და იმ თაობის სხვა ტელესახების შემდეგ, საზოგადოებრივის ეთერში თითქმის აღარ ჩანან ზრდასრული, დაღვინებული ადგინანები. 90-იან წლებში „ბერვიზიდან“ პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „ქვიშის საათში“ გადმობარებული ახალგაზრდა ენთუზიასტებიდან მაუნტებელმა ვერავისი შენარჩუნება ვერ შეძლო. ისინი სხვა ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურები მუშაობენ. ეს ბოლო წლებში ტენდენციადც იქცა – მაუნტებელში მიდიან გამოუცდელი ახალგაზრდები, ჟურნალისტობას კი სხვა არხებზე აგრძელებენ.

მაუნტებლის ხელმძღვანელობა ამ ტენდენციაში პრობლემას რომ ვერ ხედავს, „მოამბის“ ერთ-ერთი სამიჯვა კლიპითაც ჩანს. სანფორმაციო გადაცემის დაწყებამდე არხის ეთერში ტრიალებს ხოლმე ვიდეოროგოლი, სადაც ახლაგაზრდა გოგონა

გვიამბობს, რომ სულ 21 წლისაა და მისთვის ძალიან საპასუხისმგებლოა „მოამბის“ ნამყვანობა.

ქვეყნის მთავარი საინფორმაციო პროგრამის (როგორიც, წესით, „მოამბე“ უნდა იყოს) 21 წლის წამყვანი ნომსესია. საინფორმაციო ჟურნალისტიკაში წამყვანობა კარიერის ბოლო საფეხურია, რომლის იქთაც, ფაქტობრივად, აღრაფერი რჩება. აბა, გაიხსენოთ, დემოკრატიის კულტურის მქონე რომელი ქვეყნის საზოგადოებრივ ტელევიზიონური გინახავთ სანფორმაციო გადაცემის 21 წლის წამყვანი? არ შეიძლება ქვეყნის მთავარ ახალ ამბებს გვიყვებოდეს ახლახან სკოლადამთავრებული ადამიანი. სრულიად გამორიცხულია გუშინდელ თონიერეს ამ საქმისთვის საჭირო დამაჯერებლობა ჰქონდეს.

ისევ სიყალბესთან მოვედით. რამდენიც არ უნდა გვიმეორონ პირველი არხის ეთერიდან, რომელი ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევა მიიჩნევს საზოგადოებრივ მაუნტებელს ყველაზე დაბალანსებულ და მოუკერძობელ ტელევიზიად, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს თუნდაც იქაურ თანამშრომლებს სჯერათ. არ შეიძლება თავი მიუკერძობელ ჟურნალისტად მიგაწიდეს და ხათუნა ბერძნენიშვილის შეფობის ქვეშ მუშაობა შეძლო.

ბოლო დროს მაუნტებელში განვითარებული მიღლენები, შესაძლოა, ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვალიც იყოს. თუ ტელევიზიის თანამშრომლები პოლიტიკური კონიუნქტურით განპირობებული კონფლიქტის ჟურნალისტური ლირსების დაბრუნებისთვის გამოყენებას შეძლებენ, ამ ორგანიზაციის წამდებლივ მაუნტებულად ჩამოყალიბების შესახვაცი გაუჩნდება. ოღონდ ამჟამინდელი ბოლოის, ხათუნა ბერძნენიშვილისა და 21 წლის წამყვანების, ანუ სიყალბის გარეშე.

P.S. სანამ ვინმე პლაგიატობას დამაპრალებს, ვიტყვი, რომ ბლოგის სათაური გამოყენებული სიტყვათა შეთანხმება კოტეჟუბანების ეკუთვნის. **ც**



„საქართველოს აქვს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი. გვსურს, გავხდეთ საერთაშორისო პროცესების მონაწილე ავლანეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში, იქ, სადაც უსაფრთხოების საკითხი წყდება. ამავდროულად, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ არ შეგვიძლია ვიყოთ რაიმე გაერთიანებაში იმ ქვეყანასთან, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და ცნობს მათ დამოუკიდებლობას. ეს ქართველი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებაა. პარლამენტის უმრავლესობა და უმცირესობა თანხმდება, რომ ჩვენ ამ ხაზს ვერ გადავაბიჯებთ.“ –

## საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე დავით უსუფაშვილი



„ვინც საკონსტიტუციო ცვილილებას მხარს არ დაუჭერს, არ მოვა ან თავს შეიკავებს ხმის მიცემისგან, ჩემი აზრით, თავის თავზე ძალიან მძიმე როლს აიღებენ. მათ ძალიან გაუჭირდებათ საზოგადოებაში პოლიტიკურად თუ პროფესიონალურად ლირსეული მოღვაწეობის გაგრძელება.“ –

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი



„რამდენიმე დღეა ინფორმაციული მარაზმი მიმდინარეობს, რომლის ფონზე ადამიანი, რომელსაც აქვს მედიაგავლენები, თავის მსხვერპლად წარმოჩენას ცდილობს. სინამდვილეში შინაარსი მარტივია. ბატონი ბენდუქიძე უნდა დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობას და უნდა შეასწოროს უნივერსიტეტის შინაგანაწესი. აგრარული უნივერსიტეტი არ არის დახურული. განკარგულება კი ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ძალაში შედის 4 თვეში. ამდენი მარაზმატული ტყუილის და სტუდენტების მძევლად აყვანის ფონზე საზოგადოება ერთი კვირაა აკვირდება იმ უხამსობას, რომელიც მედიით მიმდინარეობს.“ –

## საქართველოს განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილი



[www.uchnobifm.ge](http://www.uchnobifm.ge)

tv 9



RBS



NATIONS™

საქართველოს 6 კუნძულის  
2 თავისი გადამზადება  
უმცირეს ფეხბურთის

